ალია

N190 /3312/ 17 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი **ხუთშაბათი** პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## თამბაქოს ბაზარზე დიდი ომი დაიწყო... 7



## სკანდალი, რომელიც ალეკო ელისაშვილმა ააგორა, ბევრ დეპუტატს ხარაკირს ჩაატარებინებს 5



რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო მეტად ამოვა ზედაპირზე სიბინძურეები, რაც კი „ქართული ოცნების“ დეპუტატებს სახელმწიფოს სახელით ჩაუდენიათ

## „შუსუსუს“ არაადამიანური ინიციატივები ვირტუალურ გოჩასაც კი გაამწარებს თურმე, რიგით მოქალაქეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! 2



პრაქტიკულად, გიორგი მღებრიშვილმა ფეხებზე დაიკიდა სამი წინამორბედის — ირაკლი ღარიბაშვილის, ალექსანდრე ჭიკაიძისა და ვახტანგ გომელაურის ბრძანებები „ნარუშილოვკებთან“ დაკავშირებით და ხელის ერთი მოსმით გააუქმა ყველაფერი.

## მერიის 2016 წლის კორუფციული სქემები 9



ვის აძლევს ნარმანია ფულის შოვნის შესაძლებლობას?



## ხალხი გამწარებული აპროტესტებს შსს-ს არაადამიანურ ინიციატივებს, ოპოზიცია კი დადუმებული და კმაყოფილია!!! 4



## სამართლის დოქტორი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხელს 12



## ვინ ხეირობს ხელისუფლებიდან მარჯვენასაჭიანი და ასაკიანი მანქანების აკრძალვით? 13



საგადასახადო კოდექსის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომელში ცვლილების შეტანასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი კანონპროექტი :

| | | | |
|---|---|---|---|
| ა ) 1 წლამდე | 1 სმ ³ | 1.5 -ლარი | ცვლილება: 1.5 -ლარი |
| ბ ) 1 წლის | 1 სმ ³ | 1.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| გ ) 2 წლის | 1 სმ ³ | 1.4-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| დ ) 3 წლის | 1 სმ ³ | 1.3-ლარი | ცვლილება: 0.5-ლარი |
| ე ) 4 წლის | 1 სმ ³ | 1.2-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ვ ) 5 წლის | 1 სმ ³ | 1-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ზ ) 6 წლის | 1 სმ ³ | 0.7-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| თ ) 7 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ი ) 8 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| კ ) 9 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ლ ) 10 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| მ ) 11 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| ნ ) 12 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| ო ) 13 წლის | 1 სმ ³ | 0.6-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |
| პ ) 14 წლის | 1 სმ ³ | 0.7-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |
| ქ ) 14 წელზე მეტის | 1 სმ ³ | 0.8-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ევროკომისია გამოდის მოწოდებით, საპოლიციო კონტროლს ევროკავშირის მოქალაქეებიც დაექვემდებარონ



ტერორისტული საფრთხეებისა და დევნილთა ნაკადის გაზრდის გამო, ევროკომისია გამოდის მოწოდებით, შენგენის ზონის შიდა საზღვრებზე კონტროლი გაძლიერდეს.

„დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, მომავალში, სისტემატურ საპოლიციო შემოწმებებს ევროკავშირის მოქალაქეებიც დაექვემდებარებიან. შესაბამისი შესწორებები შენგენის სასაზღვრო კოდექსში ევროკომისიამ დღეს შეათანხმა.

დღეს არსებული მდგომარეობით, საპოლიციო კონტროლს ქვეყანაში შესვლისა და გამოსვლის დროს მხოლოდ არაევროპული ქვეყნების მოქალაქეები და დევნილები გადიან. აღნიშნული ზომები საშუალებას იძლევა პოტენციური ჯიჰადისტების გამოვლენა მოხდეს, რომლებსაც ევროპული პასპორტები აქვთ და სირიიდან ევროპაში ბრუნდებიან. (ინტერპრესნიუსი)

## თქვენ თურმე გეცინებათ, ქალბატონო მანანა, მაგრამ ხალხს რომ სატირლად გაგვიხადეთ საქმე?!



ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე შეწყალების საქმეზე პრეზიდენტის დაკითხვას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

კობახიძეს მიაჩნია, რომ გიორგი მარგველაშვილს გამოძიებისთვის „რაღაც აქვს სათქმელი“.

კობახიძე, ასევე, მიიჩნევს, რომ, თუ პრეზიდენტს შეწყალების კომისიაში არსებულ კორუფციულ ფაქტებზე ინფორმაცია ჰქონდა, რეაგირება აქამდე უნდა მოეხდინა.

– მელიმება, პრეზიდენტები და მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე პირები ასე არ იქცევიან, ყურში ჩურჩულით და რაღაც ზეპირი ინფორმაციის მიწოდებით არ უნდა დაკმაყოფილდნენ, თუ ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები კორუფციულ ორგანიზებულ დანაშაულს სჩადიოდნენ, მათ შორის ადამიანი, რომელიც არაერთხელ ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას, თქვენი მონა-მორჩილი, თუ ჩართული იყო კორუფციულ საქმიანობაში და ეს პრეზიდენტმა იცოდა და რეაგირება ვერ მოახდინა, და ფაქტია ვერ მოახდინა და ეს ადამიანი თუ ისევ აგრძელებს კორუფციულ საქმიანობას და პრეზიდენტი ვერ რეაგირებს ეს ძალიან სირცხვილია, ქვეყნისა და ამ ინსტიტუტის სირცხვილია. ამიტომ აუცილებლად ბატონმა გიორგიმ უნდა ბრძანოს, რა ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ უკვე ძალიან მეცინება. ვფიქრობ, პრეზიდენტს გამოძიებისთვის რაღაც აქვს სათქმელი, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



# „შუსუსუს“ არაადამიანური ინიციატივები ვირტუალურ გოჩასაც კი გაამწარებს თურმე, რიგით მოქალაქეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!














**პრაქტიკულად, გიორგი მღებრიშვილმა ფეხებზე დაიკიდა სამი წინამორბედის — ირაკლი ღარიბაშვილის, ალექსანდრე ჭიკაიძისა და ვახტანგ გომელაურის ბრძანებები „ნარუშილოვკებთან“ დაკავშირებით და ხელის ერთი მოსმით გააუქმა ყველაფერი.**

ღამღამობით ლამის უკვე გიორგი მღებრიშვილი და არჩილ თალაკვაძე დამესიზმროს, დავიტანჯე ამ მამაძაღლურ ინიციატივებსა და იმაზე ფიქრით, რამდენი ადამიანი გამწარდება, თუ პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაგვიკიდა ფეხებზე და „შუსუსუს“ კანონპროექტი კანონად აქცია.

მთავრობა რომ მხარს უჭერს ამ ინიციატივებს, უკვე ვიცით – „ალიამ“ ისიც შემოგთავაზათ გუშინდელ ნომერში, რომ საპარლამენტო უმრავლესობაც, პრაქტიკულად, მზადაა, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეები ვინ მოთვლის, მერამდენედ გაამწაროს.

**ისე, არ დაფიქრებულხართ, ძვირფასო მკითხველო, რატომ და საიდან გაუჩნდა შს სამინისტროს ამ ინიციატივების იდეა? კი, შორიდან ისე ჩანს, თითქოს საცობების განმუხტვა უნდათ, ავტოპარკის განახლება, ნამეტანი კეთილშობილური მიზნები აქვთ, მაგრამ უფრო თუ ჩავუღრმავდებით, შეიძლება ისიც კი დავასკვნათ, რომ „ქართულ ოცნებას“ მთავრობიან-პარლამენტარებიანად შურისძიება სურს, ხალხის გამწარება და გაცეცხლება. რატომ და იმიტომ, რომ გადასარევად იციან, 2016 წლის არჩევნებში წინა შედეგების დადების თეორიული შანსიც აღარ აქვთ და ბოლო კუდი უნდათ, მოიქნიონ.**

ჰო, ხალხს რომ აღარ სურს „ქართული ოცნებისთვის“ ხმის მიცემა, ეს ისევ კოალიციის უმოქმედობა-ცვედანობის ბრალია, მაგრამ ამას ხმამაღლა რომელი აღიარებს, როგორ გეკადრებათ? შესაბამისად, მაქსიმალურად შეეცდებიან, ყველაფერი ძმრად ამოგვადინონ!

შეგვიძლია, კიდევ ერთი ვერსიაც განვიხილოთ. შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ცდილობს, „შტუკა“ უქნას საკუთარ გუნდს – ღარიბაშვილმა მას საგზაო მოძრაობის დარეგულირება, საცობების პრობლემის გადაჭრა მოსთხოვა, მღებრიშვილიც ადგა, მოიგონა ყოვლად არაადამიანური სიახლეები და მიუგდო პარლამენტარებს, – აგერ, მე შევეცადე პრობლემის გადაჭრა, გზა გაჩვენეთ, დანარჩენი თქვენზეა, თავში ქვა გიხლიათო, – სხვისი ხელით სურს ნარის მოგლეჯა, ელემენტარულია! რა, არა?!

ეს მეორე ვერსია რომ უფრო ახლოსაა ჭკუასთან, მღებრიშვილის მიერ სულ ახლო წარსულში გადადგმული ნაბიჯების გახსენებაც გვარწმუნებს – „ნარუშილოვკების“ ამბავს ვგულისხმობთ.

პრაქტიკულად, გიორგი მღებრიშვილმა ფეხებზე დაიკიდა სამი წინამორბედის – ირაკლი ღარიბაშვილის, ალექსანდრე ჭიკაიძისა და ვახტანგ გომელაურის ბრძანებები „ნარუშილოვკებთან“ დაკავშირებით და ხელის ერთი მოსმით გააუქმა ყველაფერი.

ვფიქრობ, პოლიციელებს და არავითარ შემთხვევაში ძალოვნების დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ნათლულ-მეზობლებს „ნარუშილოვკა“ სჭირდებათ, რომ ოპერატიული საქმიანობისას რამემ ხელი არ შეუშალოთ, თუმცა მღებრიშვილმა, სკანდალი რომ თავიდან აეცილებინა, საკითხი მარტივად გადაჭრა – „ნარუშილოვკების“ გაუქმების ბრძანება გამოსცა და „ვსიოოოო“...

გამოდის, რომ გიორგი მღებრიშვილი ნამდვილად პროფესიონალია პასუხისმგებლობების თავიდან აცილებაში, მაგრამ ამისთვის არც ტაშს დაუკრავს მას ვინმე და არც შეაქებს. უბრალოდ, კარგს იზამს „ქართული ოცნება“, თუ დაფიქრდება, რომ, პრაქტიკულად, იმ ტოტის მოჭრას აპირებს, რომელზეც ჯერ კიდევ შემოსკუპებულია...

**კიდევ ერთი საეჭვო გარემოებაა, ძვირფასო მკითხველო, რომელიც „რესპუბლიკელმა“ დავით ზურაბიშვილმა ჩაგვაწვეთა. კერძოდ, თანაპარტიელი ვახტანგ ხმალაძისგან განსხვავებით, რომელმაც „ალიასთან“ საუბარში განაცხადა, აქციები არ გვაინტერესებსო, ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი აკრძალვები ღიპიან-ჯიპიანი მდიდრებისა და ჩინოვნიკების მამაძაღლურ-კორუფციულ გარიგებებს უკავშირდება. აი, რას ამბობს დავით ზურაბიშვილი:**

„მე ავტომანქანა არა მყავს და არც მემსახურება. ტარებაც კი არ ვიცი და აწი, ალბათ, აღარც მეცოდინება, მაგრამ აქციზის გადასახადი რომ იზრდება 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის, ამაზე მაინც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა – რაც მე თავი მახსოვს ქართულ პოლიტიკაში, უშუალოდ დაინტერესებული წრეების მხრიდან სისტემატურად არის მცდელობა, რომ საკანონმდებლო დონეზე შეზღუდონ იაფი ავტომანქანების იმპორტი. მიზანი მარტივია: ავტომანქანების შემოყვანა შეეძლოს მხოლოდ მათ, ვისაც ბევრი ფული აქვს, ანუ მსხვილ, ფაქტობრივად, მონოპოლიურ კომპანიებს და ამ საქმით დაკავებული წვრილი და საშუალო ბიზნესი, როგორც არასასურველი კონკურენტი, უნდა მოისპოს.

ასეთი მცდელობები იყო შევარდნაძის დროს – არ გამოუვიდათ. შემდეგ უკვე სააკაშვილის დროს სცადეს იგივე – ასევე, არ გამოუვიდათ. ახლა უკვე მესამედ ცდილობენ და ვშიშობ, გამოსდით...

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ, თუ აღნიშნული ნოვაცია ვითომ ეკოლოგიური, საცობებსაწინააღმდეგო თუ სხვა რამ ყალბი საბაზით ძალაში შევა, ეს იქნება ტიპური კორუფციული გარიგება კონკრეტული ბიზნესისა და ბიზნესმენების სასარგებლოდ. მეტი არაფერი“.

აი, ხომ ხედავთ, მხოლოდ „ალია“ არ ფიქრობს, რომ რაღაც ისე ვერ არის და რაღაც სერიოზულად ყროლდება ჩვენს სამეფოში!!!

ეს რამდენი გელაპარაკეთ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ცუდისკენ მიდის ყველაფერი და გამორიცხულია, ვერ გაატარებს „ალია“ ამას უყურადღებოდ. რაც შეეხება იმას, რას მოვაყოლე მთელი ეს მსჯელობა, აგერ არის, არჩილ თალაკვაძემ მორიგი განმარტება გააკეთა გადაცემა „20/30“-ში სტუმრობისას, რომელსაც სააგენტო „აიპრესი“ ავრცელებს:

– შემოგვაქვს უკონტაქტო პატრულირება, რაც ასე მოგვწონს ევროპაში. რატომ არ არღვევენ მოქალაქეები საგზაო მოძრაობის წესებს, როცა პოლიცია არ ჩანს ირგვლივ? იმიტომ, რომ მათ იციან, შეიძლება უკონტაქტო გზით დააჯარიმოს ის სახელმწიფომ. უკონტაქტო პატრულირება გულისხმობს იმას, რომ სპეციალური ჯიპიეს რეგისტრატორებით, რომელიც აღნუსხავს დროს და ზუსტ ადგილს სატელიტის საშუალებით, თქვენი დარღვევა ფიქსირდება, გადაეცემა პოლიციას და პოლიცია თქვენ გაჯარიმებთ. ეს იმოქმედებს ისე, როგორც დღეს მოქმედებს ვიდეოჯარიმა, უბრალოდ, ვიდეოკამერები, მხატვრულად რომ ვთქვათ, ბოძებიდან ჩამოდის და იწყებს მოძრაობას. ასევე, შემოგვაქვს სიჩქარის მობილური დეტექტორები, პროგრამაც კი არის შექმნილი ტელეფონისთვის, რომელიც გაჩვენებთ, სად არის სიჩქარის დეტექტორი დამონტაჟებული, „გოჩა ჩართულია“, „გოჩა გამორთულია“, იცით, ალბათ, ეს პროგრამა. ჩვენ შემოგვაქვს მობილური დეტექტორები, როდესაც „გოჩამ“, ანუ ამ პროგრამამ, არ იცის, სად არის ეს დეტექტორი და შემოდის მესამე სტატუსი – „გოჩა დაბნეულია“, ანუ დღეს შეიძლება ეს დეტექტორი დგას მეხუთე კილომეტრზე, ხვალ მეშვიდეზე და მძღოლებს აქვთ განცდა, რომ სიჩქარის გადაჭარბება ყველგან ისჯება და არა მხოლოდ იმ ბოძებთან, რომლებიც მათ დაიმახსოვრეს“.

**თვით ვირტუალურ გოჩასაც კი გაამწარებს თურმე „შუსუსუს“ არაადამიანური ინიციატივები, რიგით მოქალაქეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! რეალურად კი კონკრეტულად ეს სიახლე რიგითი მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას პოლიციური სახელმწიფოს შექმნისა და ტოტალური თვალთვალისკენ გადადგმული ნაბიჯების ასოციაციებს უჩენს. ვითომ უმრავლესობა ცდება?**

**რა ვიცი, რა ვიცი...**

IDFI-ის კვლევის მიხედვით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მინისტრის შრომის ანაზღაურებას მნიშვნელოვნად აღემატება მის დაქვემდებარებულ უწყებაში დასაქმებული თანამდებობის პირის ანაზღაურება. როგორც კვლევაშია ნათქვამი, 2015 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის შრომის ანაზღაურება – 81 301 ლარი, დაახლოებით ორჯერ აღემატება იმავე პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შრომის ჯერ. კერძოდ: 2015 წლის 5 ივნისის ბრძანება – სულ ცენტრის თანამშრომლებზე გაიცა 23 812 ლარის დანამატი, საიდანაც მაია მიმინოშვილს მიღებულ აქვს 5000 ლარი. აღნიშნული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს დირექტორის თანაშემწის მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ ააიპ „მოქალაქესთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ივნისში ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები, კერძოდ, დაიგეგმა და გაიმართა ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეების 46 200 ლარი. აღნიშნული თანხიდან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 15 600 ლარს, პრემია 3 600 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატი 27 000 ლარს.

როგორც ირკვევა, შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეები ყოველთვიურად იღებენ 4500 ლარის ოდენობის სახელფასო დანამატს. ამასთანავე, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით სამსახურის უფროსის თითოეულ მოადგილეზე გაიცა 3 600 ლარის ოდენობის პრემია. შემოსავლების სამსახურის შემთხვევაშიც, როგორც აღნიშნულია, ყოველთვიური ისტრის მოადგილეების – 3 182 ლარს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეების – 1 360 ლარს, ხოლო დანარჩენი სამინისტროების შემთხვევაში, მინისტრის მოადგილეები ყოველთვიურად იღებდნენ დაახლოებით თანამდებობრივი სარგოს ოდენობის სახელფასო დანამატს. (პირველი რადიო)

**ოოხ, როგორ იცით ხოლმე, კაცო, ერთი ბეწო პრემია-დანამატს არ შეარჩენთ და შეარგებთ ამ ხალხს, რა?!**

**შრომობენ, წვალობენ, ჩემო ბატონო, პროფესიონალები არიან, თანაც უმაღლესი რანგ-წოდებისა და აბა, ბიუჯე-**




# ფული, ბაბა, ბევრი ფული — ხალხი შიმშილობს, ჩინოვნიკები მდიდრდებიან!




ანაზღაურებას – 37 260 ლარს.

მაია მიმინოშვილის მიერ 2015 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში მიღებული 81 301 ლარის ოდენობის შრომის ანაზღაურებიდან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 27 000 ლარს, პრემია – 6750 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატი 47 551 ლარს.

– როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიღებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტებიდან ირკვევა, აღნიშნულ უწყებაში მაია მიმინოშვილის ბრძანების საფუძველზე 2015 წლის ივნისში სახელფასო დანამატები გაიცა 4-ჯერ. დაჯილდოება, რისთვისაც უნდა გაიცეს დანამატი. ინსტიტუტის მიერ გაუგებარი რჩება 5 დღის განმავლობაში ცენტრის ხელმძღვანელის მიერ რა სახის სამუშაოები იქნა შესრულებული მოსწავლეების დაჯილდოებასთან დაკავშირებით, რომ მან თავის თავზე გასცა მთლიანი თვის თანამდებობრივ სარგოზე მაღალი სახელფასო დანამატი.

2015 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა მინისტრზე მაღალი შრომის ანაზღაურება მიღებული აქვს მისი დაქვემდებარებული უწყების შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეებს – თითოეულს სახელფასო დანამატი თუ სააღდგომო პრემია გაცემულია სამსახურის საკუთარი შემოსავლებიდან. როგორც კვლევაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია ერთი და იმავე ოდენობით (პირველი მოადგილე – 2 950 ლარი, მოადგილე – 2 720 ლარი), 2015 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეების ყოველთვიური სახელფასო დანამატი შეადგენდა 5 500 ლარს, იუსტიციის მინისტრის მოადგილეების – 4 000 ლარს, ფინანსთა მინისტრის მოადგილეების – 3 624 ლარს, თავდაცვის მინ-

**ტი თუ არ გაილიტა, მერე დატოვებენ სახელმწიფო დაწესებულებებს, გადავლენ კერძო სექტორში და ხომ დაგვექცა და ჩამოგვენგრა თავზე ეს სიმწრით ნაშენები გამართულ-აყვავებული სამშობლო, ჰაა?!**

**პარლამენტმაც სწორედ ამ საშიშროების გამო ჩააგდო პრემიების ამკრძალავი კანონპროექტი — ქვეყანაზე ზრუნავდნენ და თქვენ კიდევ არ გინდათ, გაიგოთ, არა!..**

**ჰოდა, არ ჯობია, ყველამ თავის ბოზ მამიდას რომ მიხედოს და აკეთოს ამ ხალხმა ფული, სანამ დრო აქვთ? აბა, გაუვათ მერე ეს დრო და მომენტი და ჩვენსავით ჯიბეგაღლეტილები ივლიან, ეს გინდათ მაინცდამაინც, არა? წნუ, წნუ, წნუ!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სამარცხვინო ინციდენტებს მიხეილი კიდევ ბევრს მოგიწყობთ, პატივცემულო „პორო“, ჯერ სადა ხართ!



უკრაინის პრეზიდენტი შს მინისტრ არსენი ავაკოვსა და ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს შორის მომხდარ კონფლიქტს გამოეხმაურა და „სამარცხვინო ინციდენტი“ უწოდა. პეტრო პოროშენკოს შესაბამისი განცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– მე, როგორც პრეზიდენტს, კონსტიტუციის, მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებების გარანტს, არ შემიძლია, არ შევეხო იმ სამარცხვინო ინციდენტს, რომელიც ორშაბათს რეფორმების ეროვნულ საბჭოზე მოხდა. ეროვნულ საბჭოზე დაუშვებელია უხეში ლანძღვა და შეურაცხყოფა, განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც რასისტული ქვეტექსტი აქვს, რომელიც ადამიანის ეროვნულ ღირსებას ეხება, მის უკრაინულ პატრიოტიზმს ეჭვქვეშ აყენებს და ვიღაცას მოუწოდებს „გაეთრიოს უკრაინიდან“, – ნათქვამია განცხადებაში.

პოროშენკოს განმარტებით, „რეფორმატორების საერთაშორისო გუნდი“ უკრაინაში სწორედ მან მიიწვია და არ ნანობს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო.

– მეორე მხრივ, კორუფციასთან ბრძოლა შოუბიზნესის დარგი არ არის. ვისურვებდი, რომ არც სახელმწიფო მოხელეები და არც სახალხო დეპუტატები მსგავს „სპექტაკლებში“ არ მონაწილეობდნენ, – ნათქვამია უკრაინის პრეზიდენტის განცხადებაში.

არსენი ავაკოვსა და მიხეილ სააკაშვილს შორის სიტყვიერი შელაპარაკება უკრაინის რეფორმების ეროვნული საბჭოს სხდომაზე მოხდა, რა დროსაც უკრაინის შს მინისტრმა სააკაშვილს სახეში წყალი შეასხა. მოგვიანებით, ორივე მათგანმა „ფეისბუკის“ საშუალებით ინციდენტის ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნება მოითხოვა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## არჩევნები რაგბიში — კალაძე ჟურნალისტებს ადანაშაულებს



რაგბის კავშირის მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან კავშირსა და ინტერესს უარყოფს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და არჩევნების გარშემო განვითარებულ მოვლენებს ჟურნალისტებს, კერძოდ კი „რუსთავი 2“-ს უკავშირებს:

– ეს არის ძალიან დიდი სიცრუე და თქვენს არხთან დაკავშირებული ე.წ. ჟურნალისტის მიერ გავრცელებული სიცრუე, რომელიც იმის მხრიდან იყო წამოწეული, რომ მერე თქვენს ტელევიზიას აეწია. ასე რომ, მე არანაირი კავშირი არ მაქვს რაგბისთან. მხოლოდ და მხოლოდ ვარ ძალიან დიდი გულშემატკივარი ქართული რაგბის, – აცხადებს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე. (პირველი რადიო)

## საბურთალოს სასაფლაოზე დაჭრილი 2 პირიდან ერთი სასჯელს პოლიციელის მკვლელობისთვის იხდიდა




საბურთალოს სასაფლაოსთან დაჭრილი ახალგაზრდების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ორივე მათგანს მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნება.

როგორც ირკვევა, ორივეს სასჯელაღსრულების დაწესებულება რამდენიმე თვის წინ აქვს დატოვებული. თორნიკე ითაშვილი წარსულში პატრულ ინსპექტორის გიორგი ჩალაძის მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 9 წელი გაატარა და ციხიდან სექტემბერში გამოვიდა. მეორე დაჭრილი, გვარად ჯორჯაძე, კი სასჯელს ჯგუფური ყაჩაღობისთვის იხდიდა.

უკავშირდება თუ არა მომხდარი თავდასხმა აღნიშნულ ფაქტებს, ამ დროისთვის უცნობია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## და ამისთვის დახარჯეთ 1 მილიონი, ჭიანი ზღმარტლივით რომ ცვიოდეს საახალწლო ილუმინაციები, ჩქიმ ჯიმა?!



ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე საახალწლო განათების ილუმინაცია ჩამოვარდა.

როგორც თბილისის მერიაში აცხადებენ, შემთხვევა 15 დეკემბერს ძლიერი ქარის გამო მოხდა.

მერიის ინფორმაციით, საახალწლო ილუმინაცია იმ დროს ჩამოვარდა, როდესაც სპეციალისტებს გამზირი უნდა გაენათებინათ. შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა მისი აღდგენა დროულად მოახერხეს. (kvira.ge)

**ძლივს გვაღირსეს მილიონიანი განათების ჩართვა და ამ ოხერმა ქარმა კინაღამ არ დაგვღუპა?!**

**ისე, თუ ხედავთ თქვენ, ბუნებაც კი დავით ნარმანიას წინააღმდეგ გამოდის...**

**არა, თანამდებობიდან წასვლას როგორ შევკადრებთ, ღმერთო კი მომკალი, მაგრამ გონზე მოსვლას და რეალური საქმის კეთებას მეგობრულად ვურჩევთ!..**

## ბაჩო ახალაია: ციხეში ისე მეპყრობიან როგორც მე ვეპყრობოდი პატიმრებს — ვუძლებ



– ღარიბაშვილი, სუბარი და კახიშვილი სულმდაბალი ადამიანები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ კრიმინალური სამყაროს გამოყენებით შეძლებენ ძალაუფლების შენარჩუნებას, – განაცხადა სასამართლო პროცესზე ე. წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ბრალდებულმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ. მისი თქმით, ის არაადამიანურ მოპყრობას უძლებს, ისინი კი, ვინც ვერ გაუძლო, გარეთ არიან.

– მინდა, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის დასკვნა მტკიცებულებად დაერთოს აღნიშნულ საქმეს, რადგან ამ დასკვნაში საუბარია იმაზე, რაზეც მე ვსაუბრობ, რომ ჩვენ გვექცევიან სრულიად არაადამიანურად. თუმცა ჩუმად ვართ და ასე ყველაფერს ვიტანთ და ავიტანთ კიდეც, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა. დასკვნაში, ასევე, საუბარია, რომ სასჯელაღსრულების სამივე მინისტრი, ყოფილები და ამჟამინდელი „კანონიერ ქურდებთან“ ერთად მუშაობენ. ჩვენ ყველაფერს ვუძლებთ და ვინც ვერ გაუძლო, გარეთ არის. ზოგი საშვილიშვილო შეცდომებსაც კი უშვებს, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება. მთავარია, რომ აღდგა სისტემა ე.წ. კანონიერი ქურდების მიერ მმართველობის. ჩვენ გვეგონა, რომ თურმე, ეს ყველაფერი დავამარცხეთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უბრალოდ შეგვიჩერებია. საბოლოოდ ძალიან მწარე ვითარებაა, – განაცხადა ბაჩო ახალაიამ. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა სტატუსით ჩაერთვება ივანიშვილი არჩევნებში, ეს მისი გადასაწყვეტია — ირაკლი კობახიძე



„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. როგორც კობახიძემ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან გია ვოლსკისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ექსპრემიერმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა სტატუსით ჩაერთვება იგი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

რაც შეეხება უმრავლესობის გუშინდელ სხდომაზე ექსპრემიერის მისვლას, როგორც კობახიძე ამბობს, ივანიშვილისგან რამდენიმე რჩევა მიიღეს.

– რჩევები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით იყო, მათ შორის საარჩევნო კოდექსთან მიმართებაში. ყველა ის პრინციპული საკითხი განვიხილეთ, რაც საპარლამენტო უმრავლესობის მსჯელობის საგანი იქნება. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს, – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

## „პრეზიდენტი თავად მოისურვებს პროკურატურაში მისვლას“



შეწყალების სკანდალს და პროკურატურის გუშინდელ განცხადებებს საპარლამენტო ოპოზიცია ეხმაურება. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, სერგო რატიანის თქმით, პროკურატურის განცხადება, რომ ელისაშვილის ტელეფონში სატელეფონო შეტყობინებები არ აღმოჩნდა, არის ცინიზმი. რაც შეეხება პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვას, რატიანის აზრით, ამის სურვილს თავად პრეზიდენტი გამოთქვამს:

– ეს არის ზღვარგადასული ცინიზმი არა მხოლოდ ელისაშვილის, არამედ საზოგადოების მიმართ. რაც შეეხება პრეზიდენტს, მე ვფიქრობ, რომ ის თავად მოისურვებს, უნდა მოისურვოს ყოველ შემთხვევაში, მისვლას პროკურატურაში. იმიტომ, რომ ეს არის უკვე გარკვეულწილად საზოგადოების მაღალი ინტერესი და ღირსების საკითხი, – განაცხადა სერგო რატიანმა ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ კომენტარში. (პირველი რადიო)

**აი, ეგ ღუპავს სწორედ ჩვენს ქვეყანას, რომ მხოლოდ ჩინოვნიკების ნება-სურვილზეა ყველაფერი დამოკიდებული — თუ მოეხუშტურა, გააკეთებს, რაც გასაკეთებელია, თუ არ აქვს დილიხორი, „ტრადიციულად“ ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს.**

**და ამით ვინ გამოდის დაზარალებული? ხალხი, რიგითი მოქალაქეები!**

# ხალხი გამწარებული აპროტესტებს შსს-ს არაადამიანურ ინიციატივებს, ოპოზიცია კი დადუმებული და კმაყოფილია!!!



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

**„ალიას“ წინა ნომერში, მარჯვენასაჭიანებთან, შსს-ს „შედევრულ“ კანონპროექტთან და ათასობით ადამიანის პროტესტთან დაკავშირებით მმართველი ძალის წარმომადგენლების შეფასებები შემოგთავაზეთ. ამჯერად დავინტერესდით, რა დამოკიდებულება აქვს ოპოზიციას კანონპროექტზე, რომელიც ძალაში 2016 წლის 1-ლი მარტიდან შევა და რატომ არ უდგანან ისინი გვერდში ხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად, განწირულ მოქალაქეებს?**

**თავად შეაფასეთ, ძვირფასო მკითხველო და შემდეგ, როცა საარჩევნო ბიულეტენს დაიკავებთ ხელში, ვფიქრობ, გადაწყვეტილების მიღებაც აღარ გაგიჭირდებათ!**







**სოსო შატბერაშვილი, „მემარცხენე ალიანსი“:**

– მარჯვენასაჭიანებს რაც შეეხება, მგონია, სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ არ ჩამოერთვათ, არ გაუუქმდეთ რეგისტრაცია იმ ადამიანებს, ვისაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილი ჰყავთ. რაც შეეხება მათ ახალ რეგისტრაციას, ვფიქრობ, ასეთი ტიპის მანქანა საგზაო მოძრაობას ხელს უშლის.

**— რა, მადლობა ვუთხრათ, რომ ვისაც ჰყავს, იმათ არ ართმევენ?!**

– რადგანაც ხელისუფლება არ ეხება იმ მძღოლებს, რომლებსაც უკვე ჰყავთ ასეთი მანქანები, სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია, რომ ვინც ეს შეიძინა, ფული დახარჯა, რეგისტრაციაში გაატარა, მათთვის ასეთი მანქანის ჩამორთმევისა და რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა კანონში არ არის ნაგულისხმევი.

**— მარჯვენასაჭიან მანქანას ჩვენი მოქალაქეები იმიტომ ყიდულობენ, რომ ის ხელმისაწვდომი, კომფორტული და გამართულია. სოციალური მდგომარეობა და ის ორი დიდი აქცია რომ გავითვალისწინოთ, რომელიც მარჯვენასაჭიანებმა უკვე გამართეს, შსს-ს ინიციატივით ხომ არ ირღვევა ადამიანის უფლება, ჰყავდეს ის მანქანა, რომლის ყიდვის საშუალებაც მას აქვს?**

– სიიაფეზე თუ მიდგა საქმე, მაშინ ყოფილი საბჭოთა, რუსული მანქანებია ყველაზე იაფი.

**— რუსული წარმოების მანქანებს თავად რუსები ვერ იტანენ და მუდმივად დასცინიან, ბატონო სოსო!**

– მე თვითონ მყავს იაპონური მარცხენასაჭიანი მანქანა, შესაბამისად, იაპონია უშვებს როგორც მარჯვენასაჭიან, ასევე, მარცხენასაჭიან მანქანებს. ჯობია, ოდნავ მეტი გადაიხადონ, ფასში არ არის ძალიან დიდი სხვაობა, რომ მარცხენასაჭიანი იაპონური მანქანები შეიძინონ და შედარებით უსაფრთხოდ იარონ.

**მე სწორედ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ მათი უსაფრთხოების მიზნით, სჯობს, მარჯვენასაჭიანი მანქანები შეიძინონ. რაც შეეხება ჩატარებულ აქციებს, მე ძალიან გაბრაზებული ვარ, მათ ხომ ამ მანქანებს არ ართმევენ და არც რეგისტრაციას უუქმებენ? რატომ გამართეს, ჩემთვის ეს გაუგებარია.**

**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტია“:**

**— შსს-ს მიერ წარმოდგენილ პაკეტს შეიძლება ვუწოდოთ „მდიდრის სამართალი“, რადგანაც იქ მთელი რიგი ნიუანსები და საკანონმდებლო ნორმებია, რომელიც ემსახურება მდიდრების ინტერესებს. ეს კონკრეტულად გამოიხატება იმაში, რომ რაც უფრო ძვირად ღირებული მანქანის შემსყიდველია პირი, იმას ნაკლები გადასახადები ექნება, სამაგიეროდ, რაც უფრო გაჭირვებული და ღარიბია ადამიანი, მით უფრო უარესდება მისი ცხოვრება.**

ამავე დროს, ამ კანონმდებლობით, გათვალისწინებულია, რომ ხელოვნურად გამოხშირონ ავტომობილები, რათა ჯიპების არმადასა და ესკორტს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ფლობს, თავისუფალი გადაადგილების საშუალება ჰქონდეს ქალაქსა თუ ზოგადად, ტრასაზე. მთლიანად იგნორირებულია გაღარიბებული და გალატაკებული ადამიანების მდგომარეობა.

**— უკვე ორი დიდი აქცია ჩატარდა. ალბათ, კიდევ არაერთ აქციას ჩაატარებენ და რატომ არ შეუერთდით „ლეიბორისტები“ საპროტესტო ტალღას, მით უმეტეს, წინააღმდეგი ყოფილხართ კანონპროექტის?**

**— ჩვენი პარტიის წევრები, რომლებსაც ჰყავთ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ამ აქციებში ჩართულები არიან და მეტსაც გეტყვით: როდესაც პარლამენტი ამ პაკეტს საკანონმდებლო ნორმად აქცევს, ჩვენ მას საკონსტიტუციო სასამართლოში გავასაჩივრებთ,**

რადგან ამ კანონით ირღვევა კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები – საკუთრების, გადაადგილების უფლებები.

**ირაკლი ღლონტი, „რეფორმატორები“:**

– მიუხედავად იმისა, რომ ვიზიარებ შსს-ს ინიციატივის პათოსს, რომ ქვეყანაში რაღაც მოწესრიგდეს, საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიური ფონის გათვალისწინებით, ნაადრევად მიმაჩნია მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა და გეტყვით, რატომ: ამ და თუნდაც წინა ხელისუფლების ნეპოტისტური დამოკიდებულების გამო, ათობით ათასი ადამიანი გაუშვეს სამსახურებიდან, ბიზნესის დაწყება არ გამოდის, თუ ხელისუფლებაში კაცი არ გყავს, საჯარო სამსახურებშიც, თითქმის, სულ „ოცნების“ საახლობლოა დასაქმებული და ზოგიც თავის რიგს ელოდება. ამიტომ განთავისუფლებულმა ადამიანებმა ოჯახის სარჩენად გამონახეს ერთადერთი გზა – ზოგმა ტაქსაობა დაიწყო, ზოგმა სამუშაოს სხვა საშუალებებს მიაგნო. რატომ იყენებენ ამ მანქანებს? იმიტომ, რომ ის შედარებით იაფია, მათი წლოვანება შედარებით ახალია, ვიდრე იმ ევროპული ავტომობილის, რომელიც შეიძლება 4 ათასი დოლარის ფარგლებში იყიდო.

**მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას გაგებით ვერ მოვეკიდები. მოსახლეობა აბსოლუტურად სწორად აპროტესტებს ამ არადროულ რეფორმას და შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ჩემი ავტომობილით შევუერთდე ამ საპროტესტო აქციას.**

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:**

**— შსს-ს აღნიშნულ ინიციატივას უარყოფითად ვაფასებ, უაზრო ინიციატივაა. ეს გამოიწვევს იმას, რომ რამდენიმე ათას ადამიანს დამატებით შეექმნება პრობლემები, ხელახლა მოუწევთ გამოცდების გადაბარება. მიმაჩნია, რომ საერთოდ, ამ კანონპროექტის ამოცანა აბსოლუტურად სულელურია.**

თბილისში რომ საცობებს განტვირთვა სჭირდება, ეს არ არის ორიგინალური პრობლემა, საცობი სხვა ბევრ ქალაქშიც არის და ანა-ბანაა, რომ ამას სჭირდება ქალაქის ინფრასტრუქტურის, რეგიონების განვითარება და არა ავტომობილების აკრძალვა.

**— და აქციებს რატომ არ შეუერთდით?**

– აუცილებლად ვაპირებ შეერთებას და იმედი მაქვს, ეს მრავალრიცხოვანი აქციები იქნება. წინა აქციების დროს ქალაქში არ ვიყავი, მაგრამ შემდეგში აუცილებლად გამოვუცხადებ ამ ადამიანებს სოლიდარობას.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

**— მთლიანობაში, ერთი შეხედვით, ეს ინიციატივა პოზიტიურ განწყობას აჩენს, რადგან მარჯვენასაჭიანი ავტომობილები იმ ტიპის მოძრაობაში, რაც საქართველოშია, მართლაც გარკვეული რისკის შემცველია.**

თუმცა, ამასთან ერთად, ალბათ, გათვალისწინებული უნდა იყოს კანონის ამოქმედების ვადები არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ვისაც უკვე შემოყვანილი ჰყავს მარჯვენასაჭიანი მანქანები მათ ეს არ ეხებათ, არამედ ის ადამიანების მდგომარეობაც უნდა იქნას გათვალისწინებული, ვინც ამ ბიზნესშია და გარკვეული პერიოდი უნდა მიეცეთ ამ კომპანიებს, შესაძლო ვალებისა და კრედიტების, ან მარჯვენასაჭიანი მანქანების შესასყიდად უკვე დადებული კონტრაქტების შემთხვევაში, არ აღმოჩნდნენ ისეთივე დაზარალებულები, როგორც ეს ბევრ ბიზნესს დაემართა ბოლო პერიოდში.

**აქვე გეტყვით, მე ცოტა არ მესმის, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები რატომ ატარებენ აქციებს, მათ ხომ არაფერი ემუქრებათ? რაც შეეხება 100-ქულიან საჯარიმო სისტემას — არც ეს გამოიყურება ცუდად, უბრალოდ, რამდენად ადეკვატურად არის შეფარდებული ქულები სასჯელებთან, ეს, ალბათ, უფრო პროფესიონალი მძღოლების განსასჯელია, ამ შემთხვევაში მე ვერ გამოვდგები კარგ ექსპერტად, რადგან ელემენტარულად, ჩემი ავტომობილით არ ვმოძრაობ**

და ბუნებრივია, მათი მოსაზრებები უფრო კომპეტენტური იქნება, ვინც ინტენსიურად სარგებლობს ავტომობილით. და აუცილებლად უნდა აღვნიშნო მეორე მომენტი, რაც ყველა ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია: რამდენად იმუშავებს ეს წესი ყველასთვის ერთნაირად? საქართველოში ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით, რომ მაგალითად, პარკირების ადგილზე ზოგი ჯარიმდება, ზოგი – არა, არიან ისეთებიც, ვინც იქით მოგედავება, რატომ დამაჯარიმეო? ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე ზოგს აჯარიმებენ, ზოგს კი – არა, რადგან ისინი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ არიან. კანონი კარგია მაშინ, როდესაც ის არ არის შერჩევითი და ყველასთვის თანაბრად მოქმედებს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„ქართულ ოცნებაში“ დიდი აურზაურია, სკანდალი, რომელიც ალეკო ელისაშვილმა ააგორა, ბევრ დეპუტატს ხარაკირს ჩაატარებინებს. რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო მეტად ამოვა ზედაპირზე სიბინძურეები, რაც კი „ქართული ოცნების“ დეპუტატებს სახელმწიფოს სახელით ჩაუდენიათ. თუკი ალეკო ელისაშვილი ან ამ კამპანიაში ჩართული ადამიანები დაადასტურებენ, რომ ქრთამის სახით პატიმრისგან შეწყალების სანაცვლოდ თანამდებობის პირმა ფული აიღო, რა თქმა უნდა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია...



# სკანდალი, რომელიც ალეკო ელისაშვილმა ააგორა, ბევრ დეპუტატს ხარაკირს ჩაატარებინებს

**რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო მეტად ამოვა ზედაპირზე სიბინძურეები, რაც კი ,,ქართული ოცნების“ დეპუტატებს სახელმწიფოს სახელით ჩაუდენიათ**

ჯერჯერობით საქმის ვითარება ასეთია: ელისაშვილმა პროკურატურაში მიიტანა ტელეფონი, რომელშიც სმს-გზავნილები იყო, თანამდებობის პირებისგან, კატეგორიული მოთხოვნებით. პროკურატურამ განაცხადა, რომ ტელეფონში სმს-გზავნილები არ იყო. შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ადასტურებს, რომ მობილურის „ინბოქსში“ სწორედაც რომ არ იყო სმს-ები, თუმცა ირწმუნება, რომ „მესიჯები“ მობილურის მყარ დისკზე ინახება. მყარ დისკზე შენახული სმს-ების ამოღების მიზნით ტელეფონს ექსპერტიზა უნდა ჩატარებოდა... იგი კითხვას სვამს, – საინტერესოა, რატომ გაასაჯაროვა პროკურატურამ ინფორმაცია ექსპერტიზის ჩატარებამდე, თითქოსდა, მობილურში სმს-ები არ იყო? ლოგიკური კითხვაა, მაგრამ ელისაშვილისთვის პროკურატურას პასუხი არ გაუცია. „ნელ-ნელა მინდა გამოვუზოგო პროკურატურას რაღაცები, ვიცი რასაც აპირებს, თუმცა სხვა რაღაცებით გავხლართავ პროკურატურას, რომლისგანაც საქმის ჩაფარცხვის მცდელობას აქვს ადგილი“... – აცხადებს ელისაშვილი.

ამასობაში, პრეზიდენტის მრჩეველი, კახა კოჟორიძე ადასტურებს, რომ ელისაშვილის ტელეფონში „მესიჯები“ მარგველაშვილმაც ნახა. მოკლედ, დიდი ალიაქოთია და შესაძლოა, ამ სკანდალით ივანიშვილმა „ქართული ოცნებას“ ბევრი ვინმე ჩამოაშოროს. გეტყვით, რომ ეკა ბესელიას მიმართ მას დიდი ხანია ნეგატიური განწყობა აქვს და კულუარულ საუბრებში არაერთხელ უთქვამს, სამწუხაროა, რომ ეკა ბესელიას იმედადღაა დარჩენილი „ქართული ოცნება“... რაც შეეხება მანანა კობახიძეს, ყველაზე კარგად ბიძინა ივანიშვილმა იცის მისი კომპრომატები და ალბათ, აღარ გახდება ბიძინა ივანიშვილის სახე, როგორც ეს იყო 2012 წელს, როცა მან საკუთარი რაიონი – საჩხერე ანდო და მაჟორიტარ დეპუტატად დაასახელა.

ნდობის ლიმიტი იწურება, ნებით თუ უნებლიეთ, ელისაშვილი კატალიზატორის როლს ასრულებს. ამასობაში კი, აღარავის გახსენებია უმრავლესობის ლიდერის, ზვიად კვაჭანტირაძის სკანდალური განცხადება, რომელიც ინიციატივით გამოვიდა, რომ შეეწყალებინათ ნარკოსკანდალში გახვეული და დაკავებული ლელა წურწუმიას მეუღლე კახა მამულაშვილი, იგივე „მამულიჩა“. თუკი მანანა კობახიძეს ედავებიან იმის გამო, რომ ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილ ბოჭორიშვილს ლობირებდა შეწყალების კომისიაში, რომლის ადვოკატიც იყო თავის დროზე. იქნებ ელისაშვილი იმ კვალზეც გავიდეს, როგორ და რა საფასურის სანაცვლოდ განთავისუფლდა კახა მამულაშვილი ციხიდან, ვინ ლობირებდა მას?

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— როგორ ფიქრობთ, ვის შეიწირავს პატიმართა შეწყალების სკანდალური საქმე?**

– მე არ მაქვს იმედი, საქმე იქნება გამოძიებული, მზად ვარ პირადად ჩავერთო ამ საქმეში, როგორც იურისტი, მაგათი არც ხელფასი მინდა და არც პრემია და თვითონ გამოვიძიებ ორ კვირაში ამ საქმეს და მთავარ დამნაშავეებს გამოვავლენ... საქმიდან აშკარად ირკვევა, რომ სკანდალის მონაწილეები, „ქართული ოცნების“ ლიდერები არღვევენ საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, რასაც ჰქვია სადეპუტატო ეთიკა და საპროცესო კოდექსი. იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, მანანა კობახიძე იყო ნუგზარ ბოჭორიშვილის ადვოკატი და როგორც მე ვიცი, მისგან იღებდა საკმაოდ დიდ ანაზღაურებას, ხოლო მას შემდეგ, რაც გახდა ვიცე-სპიკერი და პარლამენტის წევრი და კვლავ განაგრძო ბოჭორიშვილის ლობირება, ამას ეწოდება ინტერესთა კონფლიქტი. ნებისმიერი ქვეყნის პარლამენტში ეს რომ მომხდარიყო, მანანა კობახიძე მინიმუმ პარლამენტსგარეთ დარჩებოდა, თუ უფრო მკაცრ ზომებს არ გაატარებდნენ მის წინააღმდეგ. მას არც თავის პარტია დაიცავდა და არც ფრაქცია, ყველა ერთხმად დაადასტურებდა, რომ უნდა დაეტოვებინა პარლამენტი. იკვეთება ქალბატონ მანანა კობახიძის უხეში დარღვევა, რაც დანაშაულს უტოლდება. მან განაცხადა, – ბოჭორიშვილი უკანონო ძებნილია, ხოლო მისი მეგობარი ქალბატონი ანასტასია ზაუტაშვილი უკანონო პატიმარი და მე შეწყალებაზე თხოვნა იმიტომ დავტოვე, სხვაგვარად მათი განთავისუფლება არ გამოდიოდაო... ქალბატონ მანანასთან მაქვს ძალიან მარტივი კითხვა, გასაგებია, რომ ასეთი რამ ხდებოდა „ნაცმოძრაობის“ დროს, მაგრამ თქვენი მთავრობის პირობებში რატომ მიგაჩნიათ, რომ პროკურატურას უკანონო პატიმრები ჰყავს?!. ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. კობახიძე ფიქრობს, რომ საქართველოში კვლავინდებურად არსებობენ უკანონო პატიმრები, ამაზე საჯარო განცხადებებს კი არ აკეთებს და პროკურატურას კი არ სთხოვს პასუხს, არამედ, კულუარულად, სმს-ებს უგზავნის ალეკო ელისაშვილს, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს და წერს, ეგებ ეს პატიმრები შეიწყალოთო... ქალბატონ მანანას აქვე ვეკითხები, – რა ქნან სხვა უკანონო პატიმრებმა, ვისაც მანანა კობახიძე არ ჰყავდათ ადვოკატად და მისთვის რამდენიმე ათასი დოლარი არ გადაუხდიათ?!. აი, ეს არის სკანდალური ფაქტი, ამას არანაირი გამართლება არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მე, მანანა კობახიძის ბევრი დამსახურებაც ვიცი და არ მიმაჩნია, რომ ამ პარლამენტში ის არის ყველაზე ცუდი პარლამენტარი, მაგრამ ეს ორი მიზეზი საფუძველია იმისა, რომ განვაცხადო, – მან უნდა დატოვოს პარლამენტი, თუკი პასუხისმგებლობის გრძნობა ოდნავ მაინც აქვს.

რაც შეეხება ელისაშვილს, თქვენ კარგად გახსოვთ, როცა პარლამენტის წევრი ვიყავი, ძალიან ბევრ დარღვევას ვააშკარავებდი და საჯაროდ ვაცხადებდი კონკრეტული დამნაშავის გვარსა და სახელს, საჯარო პირის მხრიდან ვფიქრობ, ეს უკეთესი ფორმა იქნებოდა. თუკი ელისაშვილი დანაშაულის შესახებ ფლობს რაიმე ინფორმაციას, განსაკუთრებით კი ხელისუფლების მაღალჩინოსნების შესახებ, ყველაზე კარგი ფორმაა, რომ დაუყოვნებლივ, ზედმეტი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცნობოს საზოგადოებას დანაშაულის შესახებ. თუმცა ალეკომ სხვა გზა აირჩია და დაველოდოთ მოვლენებს. სმს-ების შესახებ ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ მუქარის შემცველი მესიჯები ვერ ნახეს, ხოლო ელისაშვილი ამბობს, რომ ასეთი მესიჯები დისკზე აქვს. გამომდინარე იქიდან, რა მთავრობასთანაც გვაქვს საქმე, ჩემი აზრით, ჯერ ჟურნალისტებისთვის უნდა ენახვებინა სმს-ები და შემდეგ წაეღო პროკურატურაში. მერე ბევრს აღარ ექნებოდა სალაპარაკო.

**— პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გააკეთა განცხადება, რომ ზეწოლის შემცველი სმს-ები მარგველაშვილმა ნამდვილად ნახა ალეკო ელისაშვილის მობილურ ტელეფონში. ეს რამეს შეცვლის ელისაშვილის სასარგებლოდ?**

– ვერ გეტყვით... მე არ ვიცი პრეზიდენტს ელისაშვილმა რა აჩვენა და რა არა, ადამიანის შეწყალება, მათ შორის დამნაშავის, ჩვეულებრივი ამბავია და მათ დეპუტატები ხშირად შუამდგომლობენ. ყველა დეპუტატს აქვს თვითცენზურა, მაგალითად მე, ნარკობარიგასა და მკვლელს დეპუტატობის დროს არასდროს ვშუამდგომლობდი, თუმცა მიშუამდგომლია ეკონომიკურ დანაშაულზე გასამართლებულისთვის.

**— როგორ ფიქრობთ, ამ სკანდალის გამო ვიღაცა დაისჯება თუ სკანდალი სკანდალად დარჩება?**

– ხვალ ეს სკანდალი აღარავის ემახსოვრება... საქმეს ასეთი პირი უჩანს. შესაძლოა, ელისაშვილმა ტყუილი არ თქვა, თუმცა შეიძლება მან ფაქტის არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთა. პროკურატურამ უნდა დაადგინოს ეს, იყო კრიმინალი თუ თხოვნა და რეკომენდაცია, მაგრამ გამოხატვის თავისუფლების კანონის მიხედვით ელისაშვილი დამნაშავედ არ გამოცხადდება, თუკი მან ვერ წარადგინა კონკრეტული კრიმინალის შემცველი ფაქტები. მისი პასუხისმგებლობა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, მას რომ ფაქტთან დაკავშირებით ეთქვა ტყუილი და ბუნებაში ასეთი ფაქტი არ იქნებოდა მომხდარი.

**— ინკოგნიტო წყარო გვიყვება, რომ ივანიშვილი ამ საქმით ძალიან დაინტერესდა და ალეკო ელისაშვილის ფაქტორი დიდწილად განაპირობებს იმ დეპუტატების ბედს, რომლებიც ვეღარ მოხვდებიან 2016 წლის საპარლამენტო სიებში. რა იცით ამის შესახებ?**

– არ მგონია, მანანა კობახიძეს რაიმე ემუქრებოდეს, რადგან ის ტელეეთერებში დაკავებულია ივანიშვილის ქება-დიდებით, მის მიმართ ივანიშვილი ლოიალურია, დაძაბულობა გუნდის შიგნით არის, მაგრამ ნუგზარ ბოჭორიშვილის სკანდალური საქმე აერთიანებს „ოცნებასაც“ და „რესპუბლიკელებსაც“, რადგან ის „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო. ამიტომ ამ სკანდალის განეიტრალებით ორივე მხარეა დაინტერესებული. სხვა საქმე იქნებოდა, თუკი „რესპუბლიკელებს“ რაიმე კავშირი არ ექნებოდათ ნუგზარ ბოჭორიშვილთან, რომლის შეწყალებასაც მანანა კობახიძე ითხოვდა, აუცილებლად აუგორებდა მეორე მხარე შავ პიარს.

ახლა იქ სხვა პროცესები მიდის, დიდი პოლიტიკური ვაჭრობაა, „რესპუბლიკელებს“ უნდათ, თავისუფალი დემოკრატების“ 10% მოიპოვონ, შეშინებულები არიან და ფიქრობენ, რომ, რაკი ბიძინა ივანიშვილი უარს ამბობს სიაში პირველობაზე, შესაძლოა, უმრავლესობა დაკარგონ, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ივანიშვილი საარჩევნო კამპანიაში ებმება, საბოლოოდ არ ვიცით, ვინ იქნება სიის პირველი ნომერი.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ,,მე, ია მეტრეველს, რომელიც გამანადგურეს, თურმე აქეთ მაქვს თავი სამართლებელი...“



„ცოტა ფრთხილად ახსენონ ჩემი სახელი“, – ასე ეხმაურება ფონდ „ქომაგის“ თავმჯდომარე ია მეტრეველი გადაცემა „არჩევანში“ მის შესახებ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომელიც ლევან ფხაკაძეს უკავშირდება. გადაცემაში ითქვა, რომ ფხაკაძეს პოლიტიკური დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ეკა ბესელიასთან რეკომენდაცია ია მეტრეველმა გაუწია.

„გეტყვით, საიდან წამოიწყეს ეს ავანტიურა; „მაესტროს“ ეთერში ვიყავი ირმა ჭკადუასთან ერთად, სადაც იმყოფებდოდა ცააძის და. მისთვის ეს იყო ძალიან უსიამოვნო ამბავი, რომ მათ წინააღმდეგ ვისაუბრე. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, ჩემზე შური ეძიათ. ჩემს წინააღმდეგ ეს ავანტიურა უკავშირდება „ლიგას“ და დიდი ეჭვი მაქვს, ამას „დირიჟორობს“ ირაკლი ფირცხალავა ციხიდან. სამართალდამცავთა „ლიგა“ რასაც წარმოადგენს, ყველამ ვიცით. მესროლეს ტალახი, ეს არის მათგან შურისძიება“, – აცხადებს მეტრეველი.

მისი თქმით, ლევან ფხაკაძის ოჯახს ის ქუჩის საპროტესტო აქციებიდან იცნობს. როგორც მეტრეველი ამბობს, სწორედ აქციებიდან შეიტყო მან, როგორ უსწორდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ფხაკაძის ოჯახს.

„მათ მოყოლილი ჰქონდათ, რა განსაცდელიც დაატეხეს თავს „ნაციონალებმა“. ლევანის მამა, პროფესორი კაცი, დააპატიმრეს აბსოლუტურად უკანონოდ, სძალავდნენ ფულს, ლევანს ცოლი დაუჭრეს. ამ დროს ეკა ფხაკაძე ოპოზიციას აქტიურად ეხმარებოდა, ეს იყო ლევან გაჩეჩილაძის აქციების პერიოდში. ამის შემდეგ, მე ვიყავი „ქომაგში“, სადაც მოდიოდა უამრავი გაჭირვებული ადამიანი დახმარებისთვის... იმ პერიოდში ეკა ფხაკაძემ მომმართა, წავყოლოდი იურისტებთან, შეესწავლათ ფხაკაძეების საქმე და გაერკვიათ, იყო თუ არა პოლიტიკური ნიშნით დევნა. კომისია რომ ყალიბდებოდა, წავაკითხე ეს საქმე იურისტებს. კომისიამ განიხილა ეს საქმე, რომელსაც უამრავი ადამიანი ესწრებოდა და ჩათვალა, რომ ეს იყო პოლიტიკური ნიშნით დევნა, ამის დოკუმენტები და დასკვნაც არსებობდა. ამის შემდეგ იქნა შეყვანილი ფხაკაძე აღნიშნულ სიაში. რეკომენდაციით მე ათასობით ადამიანს ვეხმარები, მით უმეტეს, „ქომაგში“ მოსულ ადამიანებს“, – აცხადებს მეტრეველი.

„კოჰაბიტაციაში რომ ჩაერთვნენ, იმიტომ არის, რომ ამდენს ბედავს დღეს „ნაციონალური მოძრაობა“. იქნებ ახლა მაინც მოეგოს გონს „ქართული ოცნება“ და პასუხი აგებინოს ყველას. სასაცილოა, დღეს მე, ია მეტრეველს, რომელიც გამანადგურეს, თურმე აქეთ მაქვს თავი სამართლებელი“. – აცხადებს მეტრეველი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შესაძლოა, წამლები გაიაფდეს



ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტებზე ფასების მოსალოდნელ შემცირებას კიდევ ერთხელ აანონსებს. უწყება ფარმაცევტულ ბაზარზე ჯენერიული მედიკამენტების სეგმენტის გაფართოებაზე მუშაობს. წამლების გაიაფება ეკონომიური შეფუთვის პრეპარატების მწარმოებელი ახალი კომპანიების შემოსვლამ უნდა გამოიწვიოს.

ლარის კურსის გაუფასურების პირდაპირპროპორციულად გაძვირებულია როგორც პირველადი მოხმარების, ასევე ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატები. თუმცა მოსახლეობა დაბალი ინფორმირებულობის გამო ბაზარზე ამჟამად არსებულ ჯენერიკებს ნაკლებად იყენებს. ეკონომიური შეფუთვის პრეპარატების არაპოპულარობა მისდამი ნაკლები ნდობითაცაა გამოწვეული.

ეკონომიური შეფუთვის წამლები ბრენდულთან შედარებით დაახლოებით 20-30%-ით იაფი ღირს. სააფთიაქო ქსელების ნაწილი ჯენერიულ მედიკამენტებს უკვე სთავაზობს მომხმარებელს. ფარმაცევტულ კომპანიებში აცხადებენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა წამლებს გააიაფებს, თუმცა ბაზარზე კონკურენციის თანაბარი პირობები უნდა შენარჩუნდეს.

რამდენად უსაფრთხო და ეფექტურია ჯენერიკები - სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ სეგმენტის გაფართოებას ხარისხის კონტროლის ქმედითი მექანიზმის დანერგვა უნდა მოჰყვეს.

ჯანდაცვის მინისტრი 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტის გაიაფებას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის შემოდგომისთვის პროგნოზირებდა. ახალი პროექტის განხორციელების თარიღი კი, რასაც წამლებზე ფასის კლება უნდა მოჰყვეს, ჯერჯერობით უცნობია. (bpn)

## „ნელ-ნელა ძველი იტალიური კინოების სფეროში გადავდივართ... სადღაც რაღაც ისე არ არის“



ალეკო ელისაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, პრეზიდენტის შესაძლო დაკითხვას საკანონმდებლო ორგანოში ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ პრეზიდენტიც ჩვეულებრივი მოქალაქეა და გამორიცხული არაფერია. ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი პროკურატურის გაკეთებულ განცხადებასაც შეეხო, ალეკო ელისაშვილის ტელეფონში სმს-შეტყობინებების არარსებობასთან დაკავშირებით:

– პრეზიდენტიც ჩვეულებრივი მოქალაქეა და თუ ისინი მიიჩნევენ საჭიროდ, რომ საჭიროა მისი დაბარება, დაიბარებენ და მე არ მგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რაიმე არ დაადასტუროს. რაც შეეხება იმას, რომ მესიჯები გაქრა ტელეფონიდან, თავისთავად საინტერესო განვითარებაა იმიტომ, რომ ნელ-ნელა ძველი იტალიური კინოების სფეროში გადავდივართ, როგორიც არის პროკურორის აღსარება ხალხის წინაშე და სხვა ძველი ფილმები იყო. ნელ-ნელა გადავდივართ ამ სფეროში იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, სადღაც რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა. იმედი მაქვს, რომ პროკურატურა ბოლომდე გაერკვევა, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (პირველი რადიო)

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03



## ბატონო მერო, საბავშვო ბაღების ზეიმებზე მისულ თოვლის ბაბუებს ერთი კანფეტი მაინც გაატანეთ, ცოდოები არიან პატარები – უფროსებს გვამწარებთ, ბავშვებს მაინც ნუ უკლავთ გულებს!







როგორ ფიქრობთ, მადლობა უნდა ვუთხრათ მერიას, სახელმწიფოს, „ქართულ ოცნებას“, უფასო ბაღებში რომ შეგვიძლია, ჩვენი შვილები ვატაროთ? მე თუ მკითხავთ, პასუხის გაცემა არც ისე მარტივია და აი, რატომ – განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც ხალხი დასაქმებულია და მიზერულ შემოსავალზე არ არის დამოკიდებული, საკუთარი შვილების კერძო ბაღებში მიყვანას უპრობლემოდ ახერხებს. შესაბამისად, ევროპასა და სხვა ნორმალურ ქვეყნებში სახელმწიფო ბაღები პრაქტიკულად არ არსებობს (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მშობელს სახელმწიფო ბაღში, ანუ უფასოდ, შვილის მიყვანა კვირაში მხოლოდ 15 საათით შეუძლია, ირლანდიასა და ავსტრალიაში სახელმწიფო ბაღები საერთოდ არ არსებობს. რუსეთში კი 58 ათასი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, საიდანაც 46 ათასი სახელმწიფოა და ჩვენი არ იყოს, იქაც საკმაოდ მძიმე სიტუაციაა).

იმ ქვეყნებში კი, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ლუკმაპურისთვის დღე და ღამე ქუჩაშია გავარდნილი და კერძო ბაღში შვილს ვერ მიიყვანს, იძულებულია, ბავშვი სახელმწიფო ბაღს მიაბაროს.

საშუალება რომ ჰქონდეს, რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი მშობელი შვილს ისეთ ბაღში მიიყვანდა, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი და არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა ბავშვს ისეთ ბაღში, სადაც ჯგუფებში მინიმუმ 40-45 აღსაზრდელია.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, 4 წლის მანძილზე თავად ვიყავი საბავშვო ბაღის აღმზრდელი, კერძო საბავშვო ბაღის, სადაც გადასახადი საკმაოდ მაღალი იყო და შესაბამისად – პირობებიც ყველასთვის, ასე თუ ისე, მისაღები. როცა მამა გავხდი, გასაგები მიზეზების გამო, საკუთარი შვილი სახელმწიფო ბაღში შევიყვანე და ესეც საკმაო სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ჩემი შვილის აღმზრდელების მიმართ, ბუნებრივია, არანაირი პრეტენზია არ მაქვს და ვერც მექნება, რადგან გადასარევად ვიცი, როგორი რთულია 3-4 წლის ბავშვებთან მუშაობა, მით უმეტეს, როცა ჯგუფში მინიმუმ 40-45 პატარა გყავს (მე პირადად ჯგუფში 20 ბავშვი მყავდა და ნამდვილად არ იყო იოლი მათთან გამკლავება)...

ახლა მთავარი – 15 დეკემბერს ჩემს 4 წლის სანდროს საახალწლო ზეიმი ჰქონდა – მეგობრებთან ერთად იცეკვა, იმღერა, ლექსიც თქვა და დადგა ყველა ბავშვისთვის ყველაზე სანუკვარი მომენტი – პატარები ხმის ჩახლეჩამდე უხმობდნენ თოვლის ბაბუას, რომელიც მათდა გასახარად გამოჩნდა ფარდის უკნიდან.

ახლა თოვლის ბაბუასთვის იმღერეს და იცეკვეს პატარებმა, შემდეგ კი საახალწლო ზეიმის კულმინაციის დრო დადგა – აი, ეს ლექსი:

„ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო,
გული ლხენით აგვივსეო,
ნუ დაგვღალე, თოვლის ბაბუ,
საჩუქრები გვაღირსეო“...

თოვლის ბაბუამაც პატარებს დაუყვავა და უთხრა:

– ძალიან შორიდან მოვედი, საჩუქრების გუდა მძიმე იყო და ვერ მოვახერხე თქვენამდე მოტანა...

ამით დამთავრდა საახალწლო ზეიმი და საერთო სურათის გადაღების დროც მოვიდა. სანდროს ჩავეხუტეთ მე და ჩემი მეუღლე, შევაქეთ და ვთხოვეთ, მეგობრებთან და თოვლის ბაბუასთან სურათი მასაც გადაეღო. სახე მოღუშული ჰქონდა, უჩვეულოდ გაჯიუტდა და კატეგორიული უარი თქვა სურათების გადაღებაზე. მერე გულამოსკვნილი ატირდა და რაღა უნდა გვექნა – სახლში ღრიალ-ღრიალით წავიყვანეთ.

სამსახურში მისულს მეუღლემ დამირეკა და მითხრა, რატომ ჰქონდა ასეთი მძაფრი რეაქცია ჩვენს ვაჟს – თოვლის ბაბუამ საჩუქრები რატომ არ მოგვცა, ცუდი ბიჭი ვარ, ცუდად ვიქცეოდით და იმიტომო?..

ამ რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ომარ ნიშნიანიძემ დაგვაყვედრა, რაც ჩვენ მოვედით, აგერ, ბატონო, ორი ახალი ბაღი ავაშენეთ და კიდევ უფრო მეტი განვაახლეთ და გავარემონტეთო...

3 წელიწადში 2 ბაღი თუ ააშენა „ქართულმა ოცნებამ“, აბა, დაძაბეთ ახლა გონება და წარმოიდგინეთ, 9 წელიწადში რამდენს ააშენებს – მინიმუმ ექვსს, არა?! ო, ო, ეგ დიდი საქმეა, ამ ერთ მუჭა ხალხში 9 წელიწადში 6 ბაღს ეხუმრებით თქვენ? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია, ყოჩაღ, „ოცნება“, ყოჩაღ!..

გული დამეწვა, ჩამწყდა ყველაფერი, „ცუდი ბიჭი ვყოფილვარო“ „ქართული ოცნების“ და დავით ნარმანიას ამჩემფეხებობის გამო რომ აფიქრებინეს ჩემს 4 წლის ვაჟს!!!

არა, მას არც კანფეტი აკლია, არც მოფერება, არც საჩუქრები და არც არაფერი, მაგრამ მისთვის და კიდევ უამრავი ბავშვისთვის ერთ-ერთ ყველაზე სანუკვარ და საოცნებო თოვლის ბაბუას რომ ხელცარიელს უშვებთ საახალწლო ზეიმებზე, ნამუსი არ გაქვთ, სინდისი, ადამიანობა, კაცობა, ქალობა, მამები არ ხართ, დედები არ ხართ, შვილები არ გყავთ, „ოცნებაახდენილებო“?!

კარგით, მე აუცილებლად მივალ საახალწლოდ ჩემს შვილთან თოვლის ბაბუის ფორმაში გამოწყობილი და შეძლებისდაგვარად არც საჩუქრებს დავაკლებ, მაგრამ რამდენი მშობელი ვერ მოახერხებს ამას, იცით? უამრავი, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე – დაუთვლელი!

რატომ უკლავთ ასე უნამუსოდ ბავშვებს ბავშვობას, რატომ?!

ჰო, პრემია-დანამატებს ვიმსახურებთო, სულ ეს გაკერიათ პირზე და სახელმწიფო ბაღებში ბავშვებს საახალწლოდ თოვლის ბაბუამ თითო კანფეტი მაინც რომ მიუტანოს, ამაზე არ გიფიქრიათ, „ოცნებაახდენილებო“?! თუმცა რატომ იფიქრებდით, რა გენაღვლებათ, ფეხებზე არ გკიდიათ?!

აი, ახლა დავუბრუნდეთ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვას – უნდა ვუთხრათ თუ არა მადლობა „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო ბაღების არსებობისთვის?

მე პირადად ვფიქრობ, რომ – არა!!!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## გოგი თოფაძის ინიციატივას პარლამენტი განიხილავს, რის შემდეგაც დეპუტატი მანდატს ტოვებს

პარლამენტი „მრწველთა“ ლიდერის გოგი თოფაძის იმ საკანონმდებლო პაკეტს იხილავს, რომლის მიღების შემდეგ, დეპუტატს პარლამენტის დატოვება აქვს დაანონსებული. სესიაზე „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი გადის, რომლის ავტორი და ინიციატორი თოფაძესთან ერთად, დეპუტატი გიაჟორჟოლიანია. პროექტი საქართველოს მთელი ტერიტორიის ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადებას ითვალისწინებს. მოქმედი კანონმდებლობით, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია ისედაც იკრძალება, თუმცა როგორც პროექტის ავტორები განმარტავენ, აღნიშნულის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება, რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სრულყოფილი კონტროლის განხორციელება, რათა მათი გარემოში გამიზნულად შეტანა არ მოხდეს, ფაქტობრივად შეუძლებელია. პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი (გარდა ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით) და რეექსპორტი იკრძალება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას – ჯარიმით ან 5-წლამდე პატიმრობით. ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს შემოსავლების სამსახური განახორციელებს, რომელიც ვალდებული იქნება ასეთი ორგანიზმების იმპორტის/რეექსპორტის შემთხვევაში, დაუყონებლივ სამართალდამცავ ორგანოებს აცნობოს. შეთავაზებული ცვლილებით, იკრძალება გმო-ს საბაზრო ქსელში განთავსება. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წესით პასუხისმგებლობას იწვევს. გარდა ამისა, კანონპროექტით ჩაკეტილ სისტემაში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება ლიცენზირებადი საქმიანობა აღარ იქნება – ეს საქმიანობა მთავრობის მიერ დადგენილი წესის დარეგულირდება. ასევე, პროექტით, ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება აღარ საჭიროებს კლასიფიცირებას, უსაფრთხოების კლასების მიხედვით. გოგი თოფაძემ სადეპუტატო მანდატის დატოვების და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე განცხადება ნოემბრის დასაწყისში გააკეთა. (რეპორტიორი)

## რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნების ახალი თარიღი რამდენიმე დღეში დასახელდება



რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნების ახალი თარიღი უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება. ამის შესახებ საქართველოს რაგბის კავშირის მოქმედმა პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ განაცხადა.

– რაგბის კავშირის გამგეობა ახალი ყრილობის ჩატარების თარიღს უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს. შემდეგ ჩატარდება ყრილობა, რომელზეც რაგბის კავშირის ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ, – განაცხადა ნიჟარაძემ.

ირაკლი აბუსერიძემ და გიორგი ნიჟარაძემ რაგბის კავშირის პრეზიდენტობის არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურები 15 დეკემბერს მოხსნეს. არჩევნებში სხვა კანდიდატები არ მონაწილეობდნენ, რის გამოც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის 20 დეკემბერს დაგეგმილი არჩევნები გადაიდო. (ინტერპრესნიუსი)

# თამბაქოს ბაზარზე დიდი ომი დაიწყო...







**ბელა ზედელაშვილი**
555 48-48-61


2016 წლის პირველი იანვრიდან თამბაქოს ნაწარმსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადი იზრდება. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური განმარტებით, კანონის მიღების მიზანია, თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაცია. სააქციზო განაკვეთის ზრდა დაგეგმილია ასე: ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,20 ლარი; უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,05 ლარი; სიგარებზე (ერთ ღერზე) და სიგარალებზე (20 ღერზე) – 0,4 ლარი; ყალიონით მოსაწევ და საღეჭ, ან საყნოს თამბაქოზე (1 კგ-ზე) – 5 ლარი. საბოლოო ჯამში, ბიუჯეტში 90 მილიონი ლარი კი შემოვა, მაგრამ სიგარეტის მწარმოებლებს თუ იმპორტიორებს რა ბედი ეწევათ, ფინანსური თვალსაზრისით, ამის დათვლა ან გათვალისწინება შეუძლებელია და ამიტომ „გვკიდიაო". ამ დროს, როგორც წესი, უნდა იმართებოდეს ხოლმე კონსულტაციები თავად მწარმოებლებთან, შემომტანებთან და ექსპერტებთან, მაგრამ როგორც განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, მსგავსი არაფერი მომხდარა: „კანონპროექტის მომზადების პროცესში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე, ექსპერტებს, მონაწილეობა არ მიუღიათ".

გადავიდეთ მეორე საკითხზე, ანუ იმაზე, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს აქციზის გაზრდას: ელემენტარული ჭეშმარიტებიდან ხადური ელოდება დამატებით 152 მილიონს (90 მილიონს ალკოჰოლური სასმელებიდან და თამბაქოდან).

2012 წლის შემდეგ უკვე მესამედ იზრდება აქციზის გადასახადი, პირველი იყო 2013 წელს, ხოლო მეორე – 2015 წელს. მაშინ თამბაქოს მწარმოებლები და იმპორტიორები პანიკაში ჩაცვივდნენ – მაგალითად, სიგარეტ „პირველის" მწარმოებელი ავთო წერეთელი აცხადებდა, რომ საქართველოში თამბაქოს ინდუსტრია საერთოდ მოკვდებოდა, მომხმარებელთა რაოდენობას შეამცირებდა, კონტრაბანდა გაიზრდებოდა და ხალხი გაურკვეველი წარმოების სიგარეტის მოხმარებაზე გადავიდოდა. მისი თქმით, გუდაუთაში არის საკმაოდ დიდი ქარხანა, საიდანაც კონტრაბანდული თამბაქო შემოდიოდა, ახლა გაჩერებული ყოფილა და მომენტს ელოდებიან.

**— ბატონო ილია, ფინანსთა სამინისტრი კი ამბობს, ფილტრიანი სიგარეტი 20 თეთრით ძვირდებაო, მაგრამ თქვენ როგორ ფიქრობთ, დაახლოებით რამდენი თეთრით შეიძლება, რომ გაგვიძვირდეს სიგარეტი?**

– ასე პროცენტულად ზუსტად ვერ გეტყვით, ახლა კიდევ წესდება ადვალური გადასახადი (კონკრეტულ პროდუქციაზე დაწესებული პროცენტული გადასახადი. – გ.ზ.), აქციზს კიდევ დაემატება 5 პროცენტი და საბოლოო ჯამში 2-ლარიანი სიგარეტი დაახლოებით გახდება 2 ლარი და 40 თეთრი. ახლა ბაზარზე მიდის ფასების უაზრო თამაში და მომხმარებელზე ნადირობა.

**— ახლა სწორედ ეგ უნდა მეკითხა, დაახლოებით 2-3 კვირაა, მიდის სიგარეტის გაიაფება, უცებ დაეცა ფასები, რა ხდება?**

– რა ხდება და თამბაქოს ბაზარზე დიდი ომია... რამდენიმე კომპანიამ დაიწყო ფასების დაგდება, რათა კლიენტი მიიზიდოს და მერე ისევ გააძვიროს. ზოგიერთი სიგარეტი 90 თეთრითაც გაიაფდა, ზოგი 1 ლარითაც კი, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა. ასეთი ომები ბიზნესში ხდება ხოლმე, მაგრამ სიგარეტში ძალიან იშვიათად. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეთი რაღაცა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ კლიენტის გადაბირებასთან, ანუ ბაზრის დიდი ნაწილის წაღებასთან.

**— ახალი კომპანიები შემოვიდნენ და ისინი მუშაობენ ამ კუთხით?**

– არა, ძველი კომპანიებია, უკვე დამკვიდრებული და მათ აირჩიეს ეს გზა, რაც დროებითია, იანვრიდან ისევ დაუბრუნდებიან ძველ ნიშნულს და პლუს, ამას დაემატება აქციზიც. ჩვენ ვერ დავწიეთ ძალიან ფასები, იმ იმპორტიორებმა დასწიეს, რომლებსაც თვითონ მწარმოებლები უნაზღაურებენ ზარალს.

**— ესე იგი, ზარალზე შეგნებულად მიდიან, რომ მერე ამოქაჩონ?**

– კი, რა თქმა უნდა, 1 ლარით რომ გააიაფებ, აბა, რა იქნება? ამ ზარალს იანვრის შემდეგ ამოიღებენ. დაუკვირდით, ეს არის არაბუნებრივი ფასები.

**— გამოდის, აქციზის გაძვირების შემთხვევაში ეს არ არის საწყისი ფასები, სადღაც დეკემბრის ბოლოს ისევ ავარდება და შეიძლება ძველ ნიშნულსაც გადააჭარბოს, ხომ?**

– რა თქმა უნდა, ფასები მოიმატებს და შემდეგ დაემატება აქციზი. ვიმეორებ, ეს არ გახლავთ რეალური ფასები.

**როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ДЕМУР ГИОРХЕЛИДЗЕ**

**როგორც ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამბობს „ალიასთან", გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აქციზის გადასახადი მომხმარებელთა რაოდენობაზე არ მოქმედებს:**

„სიღარიბესა და უმუშევრობაში ჩაფლულ ჩვენს ქვეყანაში, სიგარეტის გაძვირება გამოიწვევს ჯერ კონტრაბანდის გაჩენას, შემდეგ კი უხარისხო თამბაქოზე გადასვლას. წინა ორმა სააქციზო გაძვირებამ დაგვანახა, რომ არც ახლა იქნება მოხმარების არანაირი შემცირება, რადგან ადამიანები, რომლებიც სტრესულ მდგომარეობაში არიან, სიგარეტში გარკვეულწილად ნახულობენ გამოსავალს. ეს ფაქტია, როგორც იაპონელები ამბობენ, ბოლში ცხოვრება უფრო იოლია. თუ ხადური და ეს ხელისუფლება აქციზით აპირებს ბიუჯეტის შევსებას, ეს მცდარი და მარტივი პოლიტიკაა, ქვეყანაში შემოსავლები სხვა სფეროებიდან უნდა იქმნებოდეს. ეს გახლავთ ყველაზე იოლი და უპერსპექტივო გზა. ასეთ რამეს აკეთებენ მაშინ, როცა სხვა გზები არ აინტერესებთ და არ უნდათ თავის ატკივება".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012 წლის შემდეგ სააქციზო გადასახადი უკვე მესამედ იზრდება და შესაბამისად, ძვირდება ჩვენი ცხოვრებაც. ამ თემასთან დაკავშირებით მწარმოებლებისა და იმპორტიორების გარდა პროტესტი არავის გამოუთქვამს, ისიც მხოლოდ ჟურნალისტებთან საუბარში. როგორც ჩანს, ეს ამბავი ახლაც ასე ჩაივლის, ქუჩაში გამოსვლას და გზების გადაკეტვას არც პოლიტიკოსები აპირებენ, არც არასამთავრობოები. მწარმოებლები, დისტრიბუტორები და ბიუჯეტი თავისას მაინც მიიღებენ, ხალხმა იდარდოს, ჯიბე რომ შეუთხელდებათ...

ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5-დან 10-პროცენტამდე, რაც საშუალოდ 15-20 თეთრით გაძვირებას გამოიწვევს. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გუგული მაღრაძე გვიმტკიცებს, სიგარეტს იმიტომ ვაძვირებთ, რომ თქვენს ჯანმრთელობას ვუფრთხილდებითო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილ განმარტებით ბარათში მსგავსი არაფერი წერია, აქ საუბარია მხოლოდ მოგებაზე და თანაც მხოლოდ ვარაუდით: „კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ, დაახლოებით, 90 მილიონი ლარით გაზრდის 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება. მოსალოდნელი ზუსტი ფინანსური შედეგების დადგენა, იმ პირებისთვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ფაქტობრივად, შეუძლებელია".

აი, ეს ერთი ამონარიდიც კი უკვე შეიცავს დანაშაულის თუ არა, უპასუხისმგებლობის ნიშნებს, ფაქტობრივად, ფინანსთა სამინისტრო მუშაობით „გადაღლილ" პარლამენტარებს ეუბნება, ალკოჰოლისა და თამბაქოს გაძვირებით ბაა, როდესაც სიგარეტი ძვირდება, მომხმარებლები გადადიან უფრო იაფფასიან და უხარისხო თამბაქოზე. აქ უკვე ველარ გვშველის გუგული მაღრაძის ფილოსოფიური თეორია ჩვენი ჯანმრთელობის მოფრთხილებასთან დაკავშირებით – დაბალხარისხიანი თამბაქო გაცილებით მავნებელია. არის ერთი მომენტიც – ფასების ზრდამ, წესით, უნდა გამოიწვიოს წარმოებისა თუ იმპორტის შემცირება. მაშინ რა გარანტია აქვს ფინანსთა სამინისტროს, რომ 90 მილიონ ლარს აუცილებლად მიიღებს ბიუჯეტში? როგორც არ არსებობს მწარმოებელთა და შემომტანთა მოსალოდნელი ფინანსური შედეგების ანალიზი, ისე არ არსებობს გარანტია 90 მილიონის თაობაზეც. ვიმეორებთ, ადამიანები გადადიან დაბალხარისხიან თამბაქოზე, აღარ იყიდება მაღალხარისხიანი, ანუ ძვირად ღირებული სიგარეტი და შესაბამისად, მცირდება შემოსავლებიც. თუმცა 2016 წლის ბიუჯეტში, სადაც მარტო გადასახადებიდან უნდა შევიდეს 7 მილიარდ 980 მილიონი ლარი, აქციზზე მოდის 1 მილიარდ 12 მილიონი ლარი. წლევანდელი, ანუ 2015 წლის მონაცემებით უნდა შევიდეს 860 მილიონი. საერთო ჯამში, მომავალ წელს აქციზის გადასახადეავთო წერეთლის პროგნოზი ნაწილობრივ გამართლდა, მისი საწარმო არ დახურულა, მაგრამ სიგარეტი გაძვირდა და ფაქტობრივად, რით ვიწამლებით, რა გვკლავს, კაცმა არ იცის. აქ არ ვგულისხმობთ კონტრაბანდას, ერთ-ერთი ნაღდი ბიზნესი მეთამბაქოეობაა, პირდაპირ გიწერენ, „პაპიროსი კლავსო" და შესაბამისად, ხარისხიც ყველას ჰკიდია, მისი შემმოწმებელ-დამხარისხებელიც არავინაა.

**საინტერესოა, რა მოხდა აქციზის გაზრდის შემდეგ დღემდე და რას უნდა ველოდოთ იანვრის შემდეგ? შემცირდება თუ არ იმპორტი და წარმოება, რაც ბიუჯეტის შემოსავლებს კი არ გაზრდის, პირიქით, შეამცირებს? იმოქმედა თუ არა პირველი ორი აქციზის შემცირებამ მომხმარებელთა რაოდენობაზე? როგორც სიგარეტის ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორი კომპანიის („გალუაზი", „ჟიტანი", „დავიდოვი", „ემ-ემი", „პრესტიჟი", „ესე") „ჯ.ჯ 2011"-ის ხელმძღვანელი, ილია ჟღენტი ამბობს „ალიასთან" საუბარში, მომხმარებელთა რაოდენობა არ შემცირებულა, უბრალოდ, იზარალეს იმ იმპორტიორებმა, რომლებსაც შემოაქვთ ხარისხიანი და ძვირად ღირებული თამბაქო (ესეც თქვენ, ქალბატონო გუგული და პარლამენტარებო!):**



## „შესაძლოა, 2016 წლის არჩევნების ლეგიტიმურობა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ"



საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარს არ უჭერს საპარლამენტო ოპოზიცია. უმრავლესობის განცხადებით, საარჩევნო ოლქების დაზუსტება ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, თუმცა უმცირესობაში ამბობენ, რომ ამ ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან არავითარი საერთო არ აქვს.

„საფუძველი ამ კანონის ცვლილებისა არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ კანონი არ აკმაყოფილებს კონსტიტუციას, შესაბამისად, უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ 2016 წლის არჩევნები არის იმ საფრთხის წინაშე, რომ საერთოდ შესაძლებელია, რომ მისი ლეგიტიმურობა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ", – განაცხადა სერგო რატიანმა. (news.ge)

## „მოწმეს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ემუქრება"



პარლამენტში მოწმეთა დაკითხვის ახალ წესზე მეორე მოსმენით იმსჯელებენ. ახალი წესი ითვალისწინებს იმას, რომ მოწმეების დაკითხვა იძულებით აღარ მოხდება და მათ ექნებათ არჩევანის უფლება, რომ პროკურატურის ნაცვლად დაიკითხონ სასამართლოში მაგისტრ მოსამართლესთან ერთად.

უმრავლესობის დეპუტატის თამარ კორძაიას განცხადებით, ცვლილებების მიხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა დასჯადი აღარ იქნება, თუმცა გამკაცრდება სასჯელი ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში.

„მოწმეს, რომელიც მაგისტრი მოსამართლის წინაშე დაიკითხება პროკურატურის შუამდგომლობით, იძულების წესით, მას არ ემუქრება სასამართლოში ჩვენების ცვლილების შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეს ძალიან მაღალი გარანტიაა მოწმის ინტერესების დასაცავად. ცრუ ჩვენებასთან დაკავშირებით რჩება, მაგრამ ცრუ ჩვენება გულისხმობს უკვე დამდგარ დანაშაულზე პასუხისმგებლობას", – განაცხადა კორძაიამ. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ევროკავშირი მზად არის, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები კიდევ 6 თვით გაახანგრძლივოს



ევროკავშირი მზად არის, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები კიდევ 6 თვით გაახანგრძლივოს. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ ევროკავშირის მაღალჩინოსანზე დაყრდნობით წერს. გამოცემის თანახმად, შესაბამის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ბრიუსელში დაგეგმილ სამიტზე მიიღებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, სანქციების გახანგრძლივებას ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო უჭერს მხარს. (ნიუპოსტი)

## ვისაც სესხები გაქვთ, ისევ ცუდი ამბავი უნდა გაცნობოთ...



საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს 0,5 პროცენტული პუნქტით ზრდის – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8,0 პროცენტს შეადგენს. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა გამოიწვევს იმ სესხებზე პროცენტის ზრდას, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული.

2015 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხი 5838 ადამიანს, ხოლო ბიზნესსესხი 2726 იურიდიულ პირს აქვს. სულ სესხის პროცენტი 8564 ადამიანს გაუძვირდება.

2015 წლის 1-ელ ოქტომბერთან შედარებით რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხის რაოდენობა 12-ით გაიზარდა, ხოლო ბიზნესსესხის რაოდენობა 35-ით შემცირდა. ჯამში, იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხი ჰქონდა, 2015 წლის 1-ელ ოქტომბერთან შედარებით 23-ით არის შემცირებული.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება ეფუძნება მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს საბაზრო განაკვეთებისთვის.

მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე, გლობალურ და რეგიონალურ ეკონომიკურ გარემოზე და, ზოგადად, ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. (sab.ge)

## „ქალი სადარბაზოში იდგა და განწირულად ყვიროდა — მიშველეთ, კაცი მოვკალიო!“

15 დეკემბერს ვაჟა-ფშაველას გამზირის მეორე კვარტალში მკვლელობა მოხდა, 36 წლის ქალმა 41 წლის მამაკაცი დანით გამოასალმა სიცოცხლეს. შსს-ს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული ხათუნა ბ. მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ვაჟა-ფშაველას გამზირზე ნაქირავებ ბინაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1974 წელს დაბადებულ პაატა ხ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, – ვკითხულობთ ოფიციალურ განცხადებაში.

ბინა ახალი გაქირავებული იყო და კორპუსის მაცხოვრებლებმა მისი ბინადრების შესახებ არაფერი იციან. ადამიანმა, ვინც ამ მკვლელობის უნებლიე მოწმე გახდა, შემდეგი მოგვიყვა:

ო. გ., ადგილობრივი მცხოვრები:

– დაახლოებით საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა ეზოში შემოვედი და ჩემს სადარბაზოში შესვლას ვაპირებდი. ამ დროს ჩემ მაღლა, მეორე სართულიდან ქალის ყვირილი შემომესმა და უნებლიეთ გავჩერდი. ყვირილი მეორე სართულის ბინიდან გამოდიოდა, სადაც შუქი ენთო; ჯერ ვიფიქრე, ალბათ, რიგითი გარჩევაა-მეთქი, – ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი რამეები ჩვენს უბანში ძალიან ხშირია... მაგრამ ქალის შემზარავი კივილი რომ აღარ შეწყდა, მეორე სართულზე ავედი, ბინის კარი ღია იყო, ის ქალი, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდება, სადარბაზოში იდგა და განწირულად ყვიროდა, – მიშველეთ, კაცი მოვკალიო! ამასობაში სხვა მეზობელიც გამოვიდა და ბინაში შევედით, იქ დიდი უბედურება დაგვხვდა, – კაცი უკვე გარდაცვლილი იყო, იატაკზე სისხლის გუბეში იწვა. როგორც თქვეს, მიცვალებულს დანა ერთხელ კი არა, რამდენჯერმე ჰქონდა ჩარტყმული.

**— ეს ქალმა როგორ შეძლო?**

– ჯერ ერთი, მთლად სუსტი აგებულების ქალი არ ყოფილა, მეორეც, გამწარებული ადამიანი, რასაც გინდა, იმას ჩაიდენს. დანას დაწყნარებული ადამიანი არავის დაარტყამს. ამასობაში ხალხი შეგროვდა და ექიმებიც გამოჩნდნენ. იმ ქალს თვითონ დაურეკავს სასწრაფო დახმარებისთვის, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე გადაარჩენენო, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო.

**— მკვლელს არავინ ჰკითხა, რატომ ჩაიდინა მკვლელობა?**

– ქაღალდივით გაფითრებული იდგა, გეგონება, ამქვეყნად არც არისო. არაფერს ამბობდა, ისიც არ უთქვამს, ვინ იყო ის გარდაცვლილი კაცი მისთვის. მოვიდა პოლიცია, დაადო ბორკილები და წაიყვანა.

ჟურნალისტები შევესწარით, როგორ მოვიდა სახლის პატრონი ქალი, რომელმაც ჩვენთან კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა, თუმცა მეზობლების კითხვაზე, ვინ ჰყავდა მდგმურად? – უპასუხა, რომ რამდენიმე კვირის წინ ბინა ვინმე ხატიაზე გააქირავა, ხოლო ვინ იყო მამაკაცი, წარმოდგენა არ ჰქონდა.

P.S. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (კვირისპალიტრა.გე)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბესელიამ ცოტნე ბაკურიას პოლიტპატიმრის სტატუსი შესთავაზა და ფინანსური დახმარება სთხოვა



„აღორძინების“ ერთი-ერთი ლიდერი ცოტნე ბაკურია შეწყალების სკანდალს ეხმაურება.

როგორც ბაკურიამ „კურიერთან“ საუბარში განაცხადა, 2012 წელს მას დაუკავშირდა ეკა ბესელია და ჰკითხა, სურდა თუ არა პოლიტპატიმრის სტატუსი.

ბაკურიას მტკიცებით, ეკა ბესელიამ მას ფინანსური დახმარებაც სთხოვა.

– მკითხა, ვთვლიდი თუ არა თავს პოლიტიკურ დევნილად. ვუთხარი, რომ მე არ ვარ პოლიტიკური დევნილი. მან თქვა, რომ რასაც აკეთებენ, კეთილშობილური საქმეა. ასევე, თქვა, რომ ფონდი იქმნება, რომელიც პოლიტიკური დევნილების ოჯახს დაეხმარება და ხომ არ მივიღებდი ამ ყველაფერში ფინანსურად მონაწილეობას. არ მომეწონა ეს საუბარი. მადლობა გადავუხადე საუბრისთვის და გავუთიშე ტელეფონი, – განაცხადა ბაკურიამ. (ნიუპოსტი)

## რა გაახურეთ, კაცო, თქვენ? თუ იცის რამე მარგველაშვილმა, გამოვიდეს და თქვას, რას ელოდება?!



პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი, შეწყალების პროცესში მაღალი თანამდებობის პირების საეჭვო აქტიურობის შესახებ საუბრობს და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდს იხსენებს.

მაჭავარიანი ადასტურებს, რომ პრეზიდენტი საკითხზე ინფორმირებული იყო და გამოთქვამდა ეჭვს იმ პირების მაღალი ჩართულობის გამო, ვინც დღეს, მისივე თქმით, თავს იმართლებს.

– პრეზიდენტთან მუშაობის დროს მე მსმენია იმ გადაჭარბებული, ზედმეტი აქტიურობისა იმ პიროვნებებისგან, რომელიც დღეს თავის მართლების რეჟიმში იმყოფება, როგორც პრეზიდენტისგან, ისევე ადმინისტრაციის უფროსისგან. ვფიქრობ, ეს იყო საკმაოდ შემაწუხებელი. ელისაშვილი რასაც საუბრობს, ამას რეალური საფუძველი აქვს, – განაცხადა ვანო მაჭავარიანმა. (პირველი რადიო)

## ციხის ყოფილი თანამშრომელი ამტკიცებს, რომ ზაუტაშვილი ბესელიასა და კობახიძეს ღამით ციხეში ხვდებოდა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ქალთა №5 საპატიმრო დაწესებულების ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ტელეკომპანიას ანონიმურობის დაცვით ესაუბრა, ღამით, ციხეში, დეპუტატების მანანა კობახიძისა და ეკა ბესელიას ვიზიტებსა და მათ ე.წ. კოკაინის საქმეში მსჯავრდადებულ ანასტასია ზაუტაშვილთან შეხვედრებს იხსენებს.

მისი ინფორმაციით, ანასტასია ზაუტაშვილის განთავისუფლებისა და პოლიტპატიმართა სიაში ჩასმის სანაცვლოდ გადახდილი იყო 200 ათასი, ხოლო როცა აღნიშნულ სიაში არ მოხვდა, ურეკავდა მანანა კობახიძეს, რომელიც მის სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

– რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა ანასტასია ზაუტაშვილი ღამის 11-12 საათზე საკნიდან გაუყვანიათ, აუყვანიათ ციხის დირექტორის კაბინეტში. მე მქონდა ინფორმაცია, რომ ამ დროს შემოსული იყო მანანა კობახიძე. მოსულა ეკა ბესელიაც. ისინი რომ მოდიოდნენ, ანასტასია ზაუტაშვილი ცალკე გაჰყავდათ და ხვდებოდნენ, ხოლო შემდეგ ხვდებოდნენ ყველას ერთად. რამდენიმე მსჯავრდადებული სარგებლობდა „სკაიპითაც“ და მათ შორის იყო ანასტასია ზაუტაშვილი. მსჯავრდადებულები ამბობდნენ, რომ მას 150-200 ათასი აქვს გადახდილი და მალე გავა. კოკაინის საქმეში ვინც იყო, ყველა რომ გაეშვათ, მილიონ რაღაცას იხდიდნენ, – აცხადებს „რუსთავი 2“-ის ინკოგნიტო წყარო.

მისივე ინფორმაციით, ანასტასია ზაუტაშვილი განსაკუთრებული პრივილეგიებითა და აკრძალული ამანათების მიღების უფლებით სარგებლობდა, რის თაობაზეც მან სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის იმდროინდელ უფროსს, მირზა სუბელიანს აცნობა და მათ შორის, გადახდილი ფულის თაობაზეც მოუყვა.

თავად სუბელიანი „რუსთავი 2“-თან საუბარში აღნიშნულ შეხვედრას არ ადასტურებს.

– ფორმა არ არსებობს, რომ ჩემთან თანამშრომელი შემოსულიყო. არც მიღების დღეები მქონდა და არც თანამშრომლებს ვხვდებოდი. ასეთი ინფორმაცია რომ ყოფილიყო, რეაგირებას მოვახდენდი, – განუცხადა „რუსთავი 2“-ს მირზა სუბელიანმა. (ambebi.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რაც უფრო ახლოვდება ახალი წელი, თბილისის მერიიდან სულ უფრო საინტერესო ინფორმაციები ჟონავს. როგორც ირკვევა, მერიას ფულის კეთების ახალი ხერხი მოუფიქრებია და ეს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით დაუგეგმავს. როგორ აპირებენ 2016 წელს კორუფციული „ქსელების გაბმას“? როგორ „პატრონობს“ არასამთავრობო სექტორიდან მოსული თბილისის ამჟამინდელი მერი, დავით ნარმანია მეგობარ არასამთავრობოებს?**

# მერიის 2016 წლის კორუფციული სქემები





## ვის აძლევს ნარმანია ფულის შოვნის შესაძლებლობას?

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– უკვე მერამდენედ გვიწევს თბილისის მერიაზე, მერზე და გამგეობებზე საუბარი... თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეს ისეთი საკითხია, რომელიც თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენივე გადასახადებითაა შევსებული. ბიუჯეტში, რომელიც ვითომ დააკორექტირეს, რეალურად ცვლილება მარტო ისაა, რომ 100-ათასლარიანი ტუალეტები ამოიღეს. დანარჩენი, ყველაფერი უცვლელია. მოკლედ რომ ვთქვა, ბიუჯეტი არის კორუფციულად მოტივირებული და არარაციონალური.

**— განმარტეთ...**

– ამ ყველაფერს ვამბობ ძალიან მარტივი მიზეზებისა და მარტივი ციფრების გამო. ბიუჯეტის პროექტს ვინც გაეცნობა, ერთი შეხედვითვე თვალნათელი ხდება, რომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი, სხვადასხვა მიმართულებით აპირებს ფულის კეთებას. არ გამოვრიცხავ, ეს ყველაფერი კეთდებოდეს გამგებლებთან შეთანხმებით, იმიტომ, რომ სხვადასხვა მიმართულებით არის გადანაწილებული ფულის კეთების საშუალებები.

ათივე გამგეობის ბიუჯეტში ჩაშლილია ამხანაგობის პროექტი, სადაც მითითებულია, სად რა კეთდება. აქ არის საკმაოდ საინტერესო დეტალები, მაგალითად, სამგორის გამგეობა აპირებს, რომ მომავალ წელს აღადგინოს და გააკეთოს 40 ლიფტი, რისთვისაც მათ სჭირდებათ 4 000 ლარი 1 ცალში. ვაკის გამგეობას სჭირდება საამისოდ 5 000 ლარი, ხოლო დიდუბის გამგეობას მითითებული აქვს, რომ უნდა გააკეთოს 50 ლიფტი და საცალო ღირებულება არის 10 ათასი ლარი, ანუ 500 000 ლარი. 4 ათასსა და 10 ათასს შორის ორნახევარჯერ მეტი სხვაობა რომაა, ყველა მიხვდება, ხომ? თუ 10 ათასი ლარია საჭირო ერთი ლიფტისთვის, მაშინ გამოდის, რომ სამგორისა და ვაკის გამგებლები იდიოტები არიან და თვლა არ იციან. ეს ყველაფერი დიდუბის გამგეობას აძლევს იმის საშუალებას, რომ ფული აკეთოს. ეს არის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მაქსიმალურად იძლევა კორუფციული საქმიანობის საშუალებას.

ვიღაცამ თუ გადაწყვიტა, ლიფტებით იშოვოს ფული, ვიღაცამ გადაწყვიტა, სახურავებით მოახერხოს ეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ხარისხის სახურავები უნდა გააკეთონ, სამგორის გამგეობა ამბობს, რომ 12 ლარად გააკეთებს კვადრატულ სახურავს. ვაკე ამბობს, 15 ლარად გავაკეთებო, დიდუბე ამბობს, 14 ლარად გავაკეთებო, ხოლო ნაძალადევი ამბობს, რომ კვადრატული სახურავის გასაკეთებლად 30 ლარი სჭირდება. ანუ 2-ჯერ მეტი. ამ შემთხვევაში, კვადრატულზეა საუბარი, მაგრამ საერთო ჯამში მილიონობით საბიუჯეტო სახსრებზეა საუბარი.

გავყვეთ – სამგორის რაიონში, სადაც 150 ათას ადამიანზე მეტი ცხოვრობს, შესაბამისად, ყველაზე მეტი ბენეფიციარი, უფასო სასადილოების მხრივ, გლდანის მერე ჰყავს სამგორს. ამ დროს, მაშინ, როცა სამგორის რაიონს გამოუყვეს 1 მილიონ 800 ათასი ლარი, ვაკის გამგეობას, ამ მიმართულებით, ანუ სოციალურად დაუცველთათვის გასაწევ დახმარებაში ვაკეს აქვს 2 მილიონ 100 ათასი ლარი. მაშინ, როცა მთელ ვაკეში 97 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო უფასო სასადილოების ბენეფიციართა რაოდენობა სამჯერ ნაკლებია სამგორთან შედარებით. სოციალური მდგომარეობა, ვაკეში, სამგორთან შედარებით, ბევრად უკეთესია, ამას ბენეფიციართა რაოდენობა მოწმობს. რა მათემატიკაა, როგორ დათვალეს, გაუგებარია.

**— იქნებ, მენიუა განსხვავებული, მაინც, ვაკეა...**

– ხო, ალბათ, ხარისხზეა საუბარი და ვაკელ სოციალურად დაუცველებს უფრო ხარისხიან სერვისს მიაწვდიან, ვიდრე სამგორელებს.

კარგი, ერთ წამს შევეშვათ გამგეობებს და მათ მოწადინებებს. ახლა ნახეთ, ნარმანია საიდან მოვიდა პოლიტიკაში, ხომ გახსოვთ? ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ჰქონდა თავისი არასამთავრობო ორგანიზაცია, ექსპერტობდა, იყო თეორეტიკოსი, აკეთებდა კვლევებს... ეს კაცი ვერ გამოვიდა ამ „ენჯეოებიდან“, თანაც, ეტყობა, რომ რაღაც პასუხისმგებლობები აქვს მათ მიმართ და თავისი ძველი კოლეგებისთვის ბიუჯეტში გააჩინა ახალი მიმართულება, რითიც გეგმავს, რომ მათაც აშოვნინოს ფული – თბილისის მერიამ ბიუჯეტში ჩადო ახალი მუხლი და მომავალ წელს 70 ათასი ლარი უნდა დაიხარჯოს იმაში, რომ ჩაატარონ კვლევა თბილისის კარგი მმართველობის შესახებ. მოკლედ, უნდა ჩაატარონ კვლევა, რომლითაც უნდა დაადგინონ თბილისში მაცხოვრებლების ცხოვრების დონე. ასევე, უნდა ჩაატარონ ტაქსისტების კვლევა და ამისთვის სჭირდებათ 80 ათასი ლარი. შე კაი ადამიანო, თუ თბილისელების ცხოვრების დონე არ იცოდი, რის მერად მოხვედი, რა ექსპერიმენტს ატარებ ამ ხალხზე? თუ თბილისელების ცხოვრების დონე თბილისის მერმა არ იცი, როცა 10 გამგეობა გყავს და ამდენი წარმომადგენელი რაიონებში, თუ ამდენ ინფორმაციას ვერ გაწვდიან, მაშინ რა გინდა მერად, წადი სახლში. რად უნდა ათასების წყალში გადაყრა იმის დადგენას, ხალხი როგორ ცხოვრობს, რად უნდა კვლევა ამას, ჩახედონ სტატისტიკას, 13 ათასი მშიერი ადამიანი გვყავდა 2012 წელს და დღეს 32 ათასზე მეტი ჰყავთ.

ასევე, გარდა ამისა, მარგიშვილს რომ გაუკეთეს „მეწარმეობის განვითარების ფონდი“, მარტო მაგის ვალი კი არ გვქონია, ალუდა გოგლიჩიძის ვალიც გვქონია, ისიც ხომ მოადგილე იყო, ეს ადამიანიც ხომააიპ-ში გადაიყვანეს. ამ წელს 330 ათასი ლარი იყო სახელფასო ბიუჯეტი, ახლა ნახევარ მილიონზე მეტითაა განსაზღვრული. რა ვალი გვაქვს ასეთი ამათი, რომ მათი ვალიდან ვერ ამოვედით და ვუზრდით და ვუზრდით „პენსიას“. სადმე გაგიგიათ, რას აკეთებენ? რამე შედეგი გინახავთ?

**— რამეს აპირებთ?**

– ჩვენ ვამზადებთ შენიშვნების ვარიანტს. მერიას რომ მივმართოთ, არ აქვს აზრი, პირდაპირ საკრებულოს სარევიზიო კომისიას მივმართავთ ამ ხარვეზებით და მოვითხოვთ, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ამ კონკრეტულ რამეებს მიაქციონ ყურადღება.

**— დიდი ალბათობით, არ გაითვალისწინებს საკრებულო თქვენს შენიშვნებს, უმრავლესობა მათია. მერე რას იზამთ?**

– საკრებულოს დეპუტატებმა, ზედაპირულად რომ გადახედეს ამ ბიუჯეტს და ნახეს, რომ ტუალეტები არ იყო და ჯებირების თანხა შეამცირეს, ესეც საკმარისად ჩათვალეს და დაყაბულდნენ. ესენი დაყაბულდებიან, აბა, რას იზამენ, ვიღაცამ რომ არ განაცხადოს თანხმობა, ხომ ეტყვიან, ოჯახის წევრები და ახლობლები რომ დაასაქმე, ხელს რომ ითბობ, ეს ასე არ არისო. იგივეს მოსთხოვენ ბევრს. აბა, ხმა ამოიღონ... ჩვეულებრივი მონები არიან. ამ ბიუჯეტს კი არა, ნებისმიერ სისულელეს აუწევენ ხელს.

**— მაშინ ამ რეკომენდაციების წერას რა აზრი აქვს?**

– ჩვენი რეკომენდაციები რომ არა, ბევრი რამ სხვანაირად იქნებოდა. ბევრი მაღალჩინოსანი ისევ იქნებოდა თანამდებობაზე და გააგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას. სულ ვსაუბრობთ კორუფციაზე, და ხომ ხედავთ, უკვე დღის წესრიგშია ეს თემები. კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელი დააკავეს ქრთამის აღების ფაქტზე. ეს ადამიანი, სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, ეკა ბესელიას დაქალის ქმარია და დავით ნარმანიასა და ავთანდილ სუდაძის პირობებშია დანიშნული, მათი კადრია.

უბრალო თანამშრომლებს კი არა, მიხედონ ამ გამგებლებს, მათ მოადგილეებს, თანამდებობის პირებს, რომლებიც პირდაპირ აკეთებენ ფულს, ჩაფლული არიან ამ კორუფციულ გარიგებებში და სხვა არაფერი იციან. 10-ვე გამგეობიდან ველოდებით საჯარო ინფორმაციას, გამოთხოვილი გვაქვს. უნდა მოგვაწოდონ ინფორმაცია იმ კომპანიებზე, რომლებთანაც ამ ხნის განმავლობაში იმუშავეს. ჩვენი ინფორმაციით, სერიოზულ „ატკატებზე“ არიან გასულები. მოვიკვლევთ ყველა კომპანიის წარმომავლობას, მათ კავშირებს და გავხდით საჯაროს. ამ მიმართულებითაც ქვეშაფსიები არიან და ყველასთან მივალთ, ყველასთან!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რა ვერ გაინაწილეს სააკაშვილმა და იაცენიუკმა?




უკრაინის პრემიერ-მინისტრის არსენი იაცენიუკისა და ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირებაზე „ბი-ბი-სი“ სტატიას აქვეყნებს.

„უკრაინის რეფორმების ნაციონალური საბჭოს ბოლო სხდომაზე, რომელიც 14 დეკემბერს გაიმართა, ოდესის გუბერნატორს, მიხეილ სააკაშვილსა და მთავრობის თავმჯდომარის არსენი იაცენიუკის გუნდის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტი გამწვავდა.

ამ სხდომაზე სააკაშვილმა იაცენიუკი და მთავრობა კორუფციაში, არაეფექტურობასა და რეფორმების არარსებობაში დაადანაშაულა. ამ დროს შს მინისტრს – არსენ ავაკოვს ნერვებმა უმტყუნა და შეეცადა, სააკაშვილისთვის წყალი შეესხა, ხოლო შემდეგ მას ჭიქა ესროლა. კონფლიქტის თვითმხილველები ამბობენ, რომ სააკაშვილის ამ ბრალდებების საპასუხოდ, იაცენიუკმა და ავაკოვმა სააკაშვილს „გასტროლებზე ჩასული“ უწოდეს და მას „უკრაინიდან წათრევა“ მოსთხოვეს.

კონფლიქტი სააკაშვილსა და იაცენიუკს შორის დიდი ხანია არსებობს. ზაფხულის დასაწყისში ოდესის გუბერნატორმა სახელმწიფო საავიაციო სამსახურის ყოფილი უფროსის დენის ანტონიუკის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო. ანტონიუკი ამ თანამდებობის დაკავებამდე ბიზნესმენ იგორ კოლომოისკის კომპანიის მენეჯერი იყო. სააკაშვილი ანტონიუკის გადაყენებას მოითხოვდა და მას „ოლიგარქების ინტერესების ლობისტი“ უწოდა. საავიაციო სამსახურის უფროსს თანამდებობა, მართლაც, დაატოვებინეს. მაშინ მთავრობასთან კამათი ოდესის გუბერნატორის სასარგებლოდ მთავრდებოდა. ასე მოხდა ოდესის საბაჟოს ირგვლივ ატეხილ დაპირისპირებაზეც. მუშაობის პირველივე თვეს სააკაშვილმა დააანონსა, რომ ოდესის ოლქის გზებს საბაჟოს ზედმეტი მოგების თანხებით გაარემონტებდნენ. სააკაშვილის პროექტი „ფლაგმანი“ – ოდესარენის საავტომობილო გზა, წლის ბოლომდე უნდა გარემონტებულიყო. მაგრამ ამასთან დაკავშირებით პრობლემები გაჩნდა – სააკაშვილის თქმით, მთავრობამ ადგილობრივ საბაჟოს გეგმა 20%-ით გაუზარდა, რამაც გეგმის გადაჭარბება შეუძლებელი გახადა. სექტემბერში სააკაშვილმა უკრაინის ტელევიზიის ეთერში იაცენიუკი ოლიგარქების მხარდაჭერასა და რეფორმების არარსებობაში დაადანაშაულა. მაშინ იაცენიუკმა სააკაშვილის განცხადებებს ემოციური უწოდა. ამის შემდეგ მთავრობამ საბაჟოსთან დაკავშირებით სააკაშვილის მოთხოვნები შეასრულა და კონფლიქტი ცოტა ხნით შეწყდა. დაპირისპირების მორიგი ტალღა ნოემბერში აგორდა, როდესაც ოდესაში პორტისპირა ქარხნის გარშემო სკანდალი აგორდა. მანამდე კი არსენ იაცენიუკმა სააკაშვილს ტელევიზიით „შეუტია“. „მიშა ასეთი წარმატებული საქართველოში რომ ყოფილიყო, მაშინ იქ დაბრუნება რატომ არ შეუძლია? ალბათ, მან რაღაცა რეფორმების კუთხით არასწორად გააკეთა“, – განაცხადა იაცენიუკმა.

სააკაშვილმა ამას უმალვე უპასუხა. მისი თქმით, უკრაინის მთავრობის მოქმედებების გამო ქვეყანა ყოველწლიურად 5 მილიარდ დოლარს კარგავს.

(kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ალია" გილოცავთ ბარბარობის დღესასწაულს!



მართლმადიდებელი ეკლესია 17 დეკემბერს წმინდა ბარბარეს ხსენებას აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში ღვთისმსახურება აღევლინება.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე I საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. მამამისი დიდგვაროვანი წარმართი იყო, რომელსაც სახელად დიოსკორე ერქვა. იგი მალე დაქვრივდა. მამამ ერთ ულამაზეს ბაღში შვილისთვის საგანგებოდ ააშენა მაღალი კოშკი, სადაც წმინდა ბარბარე უცხო ხალხისგან მოშორებით იზრდებოდა. ღვთის განგებით, მან გაიცნო ქრისტიანი თანატოლები და მათგან ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო. წმინდა ბარბარემ აღიარა იესო ქრისტე და მამისგან ფარულად მოინათლა. როდესაც დიოსკორემ შვილის გაქრისტიანება გაიგო, ისე განრისხდა, რომ მამობრივი სიყვარული სულ გადაავიწყდა და შვილი მოსაკლავად გაიმეტა. წმინდა ქალწული თავისი ხელით მიჰგვარა ქალაქის მმართველს, რომელიც არ დასჯერდა წმინდა ბარბარეს წამებას და ბრძანა, ქალიშვილი შიშველი ქალაქში გაეყვანათ. მაგრამ ამ დროს სასწაული მოხდა – წმინდა ქალწულის სხეული ზეციურმა ნათელმა შემოსა. ამის დანახვაზე გონებადაბნელებულმა მამამ საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერთადერთ შვილს. დიოსკორე და ქალაქის მმართველი იმავე დღეს დაისაჯნენ – ისინი მეხმა ფერფლად აქცია.

ამჟამად წმიდა ნაწილები იმყოფება კიევში, წმინდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში, ეკვდერის შუაში, შემაღლებულ ადგილასაა დასვენებული. მის წმინდა ნაწილებთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული.

წმინდა ბარბარეს განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისთვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის.

## რუსეთი „სუ-24"-ის ჩამოგდებისთვის თურქეთისგან კომპენსაციას მოითხოვს



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ალექსეი მეშკოვის განცხადებით, თურქეთმა ჩამოგდებული „სუ-24"-ის სანაცვლოდ კომპენსაცია უნდა გადაიხადოს. ამის შესახებ „რია ნოვოსტი" წერს.

– თურქეთის ხელისუფლებას, მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და სირიაში რუსეთის კანონიერი ქმედებების ცილისწამების ნაცვლად, ბოდიში უნდა მოეხადა, ზარალი აენაზღაურებინა და მომავალში მსგავსი ქმედების გაუმეორებლობის გარანტია უნდა მოეცა, – განაცხადა მეშკოვმა. (ნიუპოსტი)

# „ცხოვრება მიქციეთ ჯოჯოხეთად..."

## მანანა კობახიძეს ყოფილი თანაგუნდელი უპირისპირდება





**საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ინგა ზაბახიძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე მანანა კობახიძეს ვრცელ პოსტს უძღვნის და საკუთარ ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიას ახსენებს:**

– ქალბატონო მანანა, იქნებ ახლა მაინც ჭამოს სამართალმა პური და იქნებ ახლა მაინც დაინახონ თქვენი ნამდვილი სახე. თქვენ უაზრო ინტრიგებს შეეწირა ჩემი არა მარტო საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარეობა, არამედ ჩემი ოჯახიც. იქნებ მეც ამოვყარო ის მესიჯები, როგორ მაიძულებდით „ნაციონალების" მიერ დაფუძნებული გაზეთის უტენდეროდ და შეუსაბამოდ დიდი თანხით დაფინანსებას. როცა ვერ გამტეხეთ და კატეგორიულად გითხარით, რომ თქვენ გამო კანონს არ დავარღვევდი, ეს გაზეთი წააქეზეთ ჩემ წინააღმდეგ და რამდენიმე ნომერი მხოლოდ ჩემ ლანძღვას მიეძღვნა. ეს გაზეთი მამამ წაიკითხა და უჯანმრთელესი კაცი ინსულტით გარდაიცვალა, მამის სიკვდილი ვერ გადაიტანა ავადმყოფმა დედამ... მამის გარდაცვალების მეორე დღეს საჯაროდ ვაპირებდი საკრებულოს თავმჯდომარეობის დატოვებას და საჩხერიდან ამოწერასაც კი, სანამ თქვენ იქნებოდით მაჟორიტარი დეპუტატი. ამ განზრახვაზე ხელი „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა ამაღებინა მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

„ქართული ოცნების" მოსვლის დღიდან ჩემი ყველა ამბიცია დავივიწყე და გვერდით ერთგულად დაგიდექით, მაგრამ ესეც ვერ დაინახეთ. თუმცა თქვენ თვითონ აღიარებდით მოსახლეობასთან შეხვედრებზე, საჩხერეში რამდენი გიწვალია და გიშრომია, ეს უნდა დაგიფასდესო. კი, კარგად „დამიფასეთ". როდის გადამემტერეთ ასე ძალიან? ალბათ, მაშინ, როცა თქვენი „გუნდის" სერიოზული ფინანსური დარღვევების შესახებ პროკურატურას მივმართე და გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, მანამდე პარლამენტში თქვენი ნახვა მინდოდა. თქვენ თავი „დაიმდაბლეთ" და გვიან საღამოს საკრებულოში „გვეწვიეთ". რომ ვიცოდი ჩემ მიმართ თქვენი დამოკიდებულება, საკრებულოს წევრებიც დავტოვე და ჩვენს „საუბარს" მოწმეებიც ჰყავს. როდესაც თქვენ უკადრებელი იკადრეთ და უდიდესი პოლიტიკური შეცდომა დაუშვით, მაშინ გითხარით, სირცხვილია პარლამენტის ვიცე-სპიკერი იყოთ, რატომ მარჯვენა არ მომტყდა, ხმა რომ მოგეცით-მეთქი! ახლაც იგივეს ვიმეორებ. ამის მერე აღარავის უკვირდა, რატომ მიქციეთ ცხოვრება ჯოჯოხეთად. იქნებ ვინმემ იცის, რატომ არ გაიხსნა ის საქმეები დღემდე.

სამაგიეროდ, საჩხერეში ყველამ იცოდა, რომ თქვენი თანადგომის მისაღწევად ჩემთან უნდა გამოეცხადებინათ ომი. ასე შეიქმნა იმ გაზეთის თანამშრომლებისთვის ახალი ადგილები. თქვენთვის ტელეფონიც კი გამითიშავს, ისტერიულად რომ მლანძღავდით ხოლმე. წინა საკრებულოში დარჩენილი „ნაციონალების" ხელით რამდენჯერმე ჩემი იმპიჩმენტიც კი სცადეთ, მათ სანაცვლოდ ჩემს ადგილს ჰპირდებოდით, მაგრამ არ გამოგივიდათ. მათ ხვდებოდით, საჩხერეში რომ ჩამოდიოდით, ჩემთან კი არასოდეს გითანამშრომლიათ. ჩვენი თურმე „ქალური ომის" ამბავი მთელმა საქართველომ იცოდა. თქვენგან „დაბლოკვას" სულ ვგრძნობდი, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის სამინისტროში რომ დავრბოდი პროექტებისთვის, მაგრამ სიამაყით და მათ სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ მათი უდიდესი მორალური და საქმიანი მხარდაჭერით განვახორციელეთ ის პროექტები, რომლებიც ჩემი წამოსვლის შემდეგ დასრულდა და თქვენ „სიამაყით" ჭრით ლენტებს.

თქვენ, გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, დაუნდობელი ომი გამომიცხადეთ რეგიონებში „ქართული ოცნებიდან" ერთადერთ ხელმძღვანელ ქალს საქართველოში. აი, რატომ აღარ ვთანამშრომლობ გენდერულ საბჭოსთან. როცა მე „მომინელეთ", საჩხერის პოლიციის უფროს რეზო კობახიძეს მიადექით, ალალ-მართალ და პატრიოტ კაცს, მუხლჩაუხრელად რომ იბრძოდა და შრომობდა „ქართული ოცნებისთვის". ის კიდევ უფრო მწარედ მოინელეთ! მეამაყება, რომ ჩვენ დავიწყეთ „ახალი საჩხერის" შენება. მეამაყება, რომ საკუთარი ხელფასიც კი არ მიმქონდა სახლში და ძალიან მშვიდად მძინავს, რომ საჩხერელების სიყვარულსა და თანადგომას ვგრძნობ.

ეეჰ, რამდენი წლის დარდი და ტკივილი ამოვთქვი... გავბედე, გავბედე იმიტომ, რომ არასოდეს ვყოფილვარ მშიშარა, არც მაშინ, როდესაც 7 ნოემბრის შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტი დავტოვე და არც მაშინ, როცა „პატარა საკრებულოს თავმჯდომარემ" პირში გითხარით სიმართლე „ამხელა ვიცე-სპიკერს". იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდეთ ვინმე, რა ხდება საჩხერეში. თუმცა ყველამ იცის, რომ საჩხერის სამი გამგებლიდან არც ერთი არ ყოფილა ლეგიტიმური გამგებელი, რეალური გამგებელი ყოველთვის იყო და არის ქალბატონ მანანას ბიუროს უფროსი. მის გარეშე „ჩიტიც ვერ ფრინავს საჩხერეში". პატივცემულო მამაკაცებო და პარტიის ლიდერებო! გენდერული კვოტირებით მხოლოდ პატიოსანი და დამსახურებული პროფესიონალი ქალებით დააკომპლექტეთ თქვენი პარტიული სიები და არა ისე, ვინ ვისთან ხართ „ვალდებული", თორემ მერე ყველაფერი ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ, საბოლოოდ კი ისევ ქვეყანა დაზარალდება, – წერს ინგა ზაბახიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „აკრძალეთ ასაფეთქებელი სათამაშოები" – პეტიციას უკვე 4000-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს



მოქალაქეთა ჯგუფი ე.წ. სათამაშო ასაფეთქებლების აკრძალვას ითხოვს. ამ მიზნით პეტიციაზე ხელმოწერა ხორციელდება, რომლის ადრესატებიც საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პრეზიდენტი არიან:

– მოვითხოვთ, აიკრძალოს ერთი შეხედვით უწყინარი, ე.წ. სათამაშო ასაფეთქებელი საშუალებებით ვაჭრობა და მათი გამოყენება. აკრძალვა დარეგულირდეს შესაბამისი კანონის მუხლით, ან საგანგებო განკარგულებით, არ იყოს ერთჯერადი და სამართალდამრღვევი დაისაჯოს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიმდინარე წლის და ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში ე.წ. „ბომბოჩკები" გახდა ძალიან ბევრი ტრაგედიის მიზეზი. აღნიშნული გასართობი საშუალებებით დასახიჩრდა არაერთი სხვადასხვა ასაკის პიროვნება, – აღნიშნულია პეტიციის ტექსტში. (ნიუპოსტი)

## რუსი ბიზნესმენის შვილმა საკუთარი დედა დაახრჩო



რუსი ბიზნესმენის, იგორ სოსინის 19 წლის ვაჟმა – ეგორმა ყაზანში, ოჯახის ერთ-ერთ სასტუმროში საკუთარი დედა დაახრჩო.

რუსული მედიის ინფორმაციით, პოლიციას სასტუმროს პერსონალმა მიმართა და ერთ-ერთი სტუმრის არაადეკვატური ქცევის შესახებ შეატყობინა.

ადგილზე მისულ პოლიციას ახალგაზრდა მამაკაცი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, ლოგინზე კი გარდაცვლილი ქალი დახვდა. ცხედარს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა.

წინასწარი ინფორმაციით, შვილმა დედა მობილურის დამტენის სადენით დაახრჩო.

როგორც დაკითხვაზე ეგორმა განაცხადა, დედამ მას აბები მისცა, რომლის მიღების შემდეგაც ჰალუცინაციები დაეწყო და ქცევებს ველარ აკონტროლებდა. სასტუმროს კამერების მიერ გადაღებული ჩანაწერების თანახმად, მკვლელობის დღეს ნომერში, ბიზნესმენის შვილისა და მისი დედის გარდა, არავინ შესულა და გამოსულა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამოძიების დასრულებამდე და შესაბამისი დასკვნის გამოტანამდე, ბიჭი პატიმრობაში დარჩება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისის მერიის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს



ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელი – ანზორ გუნბერიძეა დაკავებული.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ზედამხედველობის პროცესში, რომელიც ეხებოდა ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების აღდგენას, კერძოდ, კი კონკრეტულ ობიექტზე ვითომდა გაკრული პლაკატებისგან გასუფთავებას, რაც რეალურად არ არსებობდა, ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს დაამზადებინა სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ყალბი აქტი, რის საფუძველზეც მერიიდან აღნიშნულ კომპანიას საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა 5000 ლარი. სანაცვლოდ ბრალდებულმა ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო თანხის ნახევარი, 2500 ლარი.

ბრალდებული დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 17 წლის გოგონა გაიტაცეს



მარნეულის რაიონის სოფელ თაზაქენდიდან სამმა ახალგაზრდამ 17 წლის გოგონა გაიტაცა. აღნიშნულ ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2" ავრცელებს. მათივე ცნობით, უკვე მესამე დღეა ოჯახის წევრები 17 წლის გოგონას გამოჩენას ელოდებიან.

როგორც გატაცებულის მამა აცხადებს, მისი შვილი ძალის გამოყენებით ნოვრუზ ბაირამოვმა წაიყვანა, რომელსაც მას ამ დროისთვის პოლიცია ეძებს.

თავად ნოვრუზ ბაირამოვის ოჯახის წევრები არ მალავენ, რომ არასრულწლოვანი გოგონა მათი ოჯახის წევრმა დაქორწინების მიზნით გაიტაცა. ისინი ამტკიცებენ, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და 17 წლის გოგონას მოტაცებაში დანაშაულს ვერ ხედავენ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლითაა აღძრული. (კვირა.გე)

## ქუნთრუშას დიაგნოზით 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა



ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრში 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილის, ნინო ნიჟარაძის თქმით, მცირეწლოვანს ოჯახის ექიმმა წითელას დიაგნოზი დაუდგინა, ხოლო საავადმყოფოში მას მძიმე სეფტიურ-ტოქსიური შოკით, ქუნთრუშა დაუდგინეს.

მისივე თქმით, ამავე ოჯახიდან კიდევ ორი მცირეწლოვანი ბავშვი მიიყვანეს, თუმცა ისინი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს და მათ სიცოცხლეს, საფრთხე არ ემუქრება. (კვირა.გე)

## ევროკავშირის მინისტრებმა ქართველების უვიზოდ მიმოსვლას მხარი დაუჭირეს



ბრიუსელში, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მათ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების უვიზოდ მიმოსვლას მხარი დაუჭრეს, — ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური მედიასაშუალებები ავრცელებენ. მათივე ინფორმაციით, მინისტრები შეთანხმდნენ, რომ საქართველომ უვიზო რეჟიმის მისაღებად ევროკავშირის მოთხოვნები დააკმაყოფილა და ახლა თანამშრომლობის ახალ ფაზაში გადასვლის დროა.

როგორც გერმანული გაზეთი Die Welt-ი იტყობინება, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები ევროპაში უვიზოდ მოგზაურობას 2016 წლიდან შეძლებენ. (kvira.ge)

# პოლიტპატიმრები საქმეების გადახედვას ითხოვენ და აქციებისთვის ემზადებიან





ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ პოლიტპატიმრები საკუთარი საქმეების გადახედვის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტს მიმართავენ. მისივე თქმით, პოლიტპატიმრების საქმეებს ხელისუფლება ამ დრომდე იგნორირებას უკეთებს და მათი გადახედვა ჯერ კიდევ არ მომხდარა. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რის გამოც პოლიტპატიმართა სიის ირგვლივ დღეს ამხელა სკანდალია ატეხილიო, აცხადებს ის და აქციას აანონსებს.

**„ალიას" ნანა კაკაბაძე ესაუბრა:**

– პოლიტპატიმრებს პარლამენტის კანცელარიაში შეაქვთ მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პარლამენტმა გააკეთოს მოსმენა, მოიწვიოს ბატონი ალეკო ელისაშვილი, რომ იქ იყვნენ პოლიტპატიმრები, კომისიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა და განვიხილოთ, რა გონივრული თუ დასაბუთებული ეჭვები აქვს ალეკოს პოლიტპატიმრების საქმეებთან დაკავშირებით. ამავდროულად, პოლიტპატიმრები მიმართავენ პარლამენტს და ხელისუფლებას, რომ სწორედ ისინი არიან დამნაშავეები იმ აგორებულ კამპანიაში, რომელიც დღეს მათ მიმართ მიმდინარეობს, ვგულისხმობ მათ სიებს, როგორც კორუფციული ინტერესების შედეგს; ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ, მათი ციხეებიდან გამოშვების გარდა, არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს, რა სასჯელის გამო ისხდნენ ისინი ციხეში; მიიჩნევენ, რომ სამი წლის განმავლობაში კოაბიტაციურ რეჟიმში მყოფმა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ შეიტანა 310-ე მუხლში ცვლილება და არ დაამატა პოლიტპატიმრობა, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, რის გამოც არ ხდება დღეს პოლიტპატიმრების საქმეების გადახედვა. მათი მოთხოვნაა, პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღოს ცვლილება და პოლიტპატიმრობა ჩაეთვალოთ ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რათა მათ მიეცეთ საშუალება, მიმართონ სასამართლოს მათი საქმეების გადახედვის მოთხოვნით. ასევე, ისინი მოითხოვენ, შეფასდეს სააკაშვილის რეჟიმი, იყო თუ არა ის ისეთი, რომელსაც შესაძლოა, ჰყოლოდა პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანები? მოკლედ, მთავარი პრეტენზიები დღეს არის ხელისუფლებისადმი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, არის დამნაშავე პოლიტპატიმრების წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიისა და ხელისუფლებისგან მოითხოვენ ქმედით ნაბიჯებს, რათა დამთავრდეს მათი საქმეებით მანიპულირება.

**— აღნიშნული მოთხოვნები აქამდეც არაერთხელ ჰქონდათ, მაგრამ ხელისუფლება ყოველთვის იგნორირებას უკეთებდა. რა გაძლევთ იმის იმედს, რომ ხელისუფლება ახლა მაინც გადახედავს პოლიტპატიმრების მოთხოვნებს და რეაგირებას მოახდენს?**

– კი, ჰქონდათ პერმანენტული და შიმშილობის აქციები, რომ გადახედილიყო მათი საქმეები, თუმცა ეს დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", იმიტომ, რომ ხელისუფლებამ გამოგვიცხადა კოაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან". მაგრამ დღეს, როდესაც ამაზე უკვე მასობრივად ალაპარაკდნენ, ამას უკვე აბსოლუტურად სხვა ხასიათი მიეცა თვითონ პოლიტპატიმრებისთვის. დარწმუნებული ვარ, დღეს ეს ადამიანები გაცილებით მეტად იბრძოლებენ იმისათვის, რომ პარლამენტმა მიიღოს ცვლილება. კანონში სულ ერთი ბწკარის დამატებაა საჭირო – პოლიტპატიმრობა გახდეს საქმეების გადასინჯვის საფუძველი, მეტი არაფერი.

**— უკვე წლის ბოლოა, ოფიციალურად სესიები უკვე დასრულებულია და თუ მაინც ტარდება, ის პრეზიდენტის ინიციატივით ხდება. როგორ წარმოგიდგენიათ პოლიტპატიმრების მოთხოვნების ახლა განხილვა პარლამენტში? ახლა ხომ მიხეხიც აქვთ, სესიები დასრულებულიაო...**

– პოლიტპატიმრები ამ მოთხოვნას შეიტანენ და ხელისუფლების პრობლემაა, როგორ დანიშნავს სესიას. ეს ადამიანები ციხეში არ აღმოჩნდებოდნენ, მათ რომ თავისი პოლიტიკური მრწამსი არ ჰქონოდათ და საპყრობილეებიდან განთავისუფლება მათთვის ბედნიერებას არ წარმოადგენს, ისინი თავისუფლებაში იქნებოდნენ, რეჟიმს რომ არ დაპირისპირებოდნენ და კეთილი ინებოს ხელისუფლებამ, გამონახოს ფორმა და საშუალება იმისთვის, რომ აღასრულოს ის, რასაც პოლიტპატიმრები სთხოვენ. მათ მინისტრებად დანიშვნა კი არა, საქმეების გადახედვა უნდათ. სცანი პოლიტპატიმრებად? მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ და ამათ ხომ გამართლება უნდათ? სახლში რომ გაუშვი, მადლობა, მაგრამ იქ პოლიტპატიმრის სტატუსით იჯდნენ.

**— რამდენი ადამიანის ხელმოწერა იქნება პოლიტპატიმრების მიმართვაზე?**

– პოლიტპატიმრების სახელით ერთი ადამიანი მოაწერს ხელს და ეს, ალბათ, ე.წ. „კავკასიის" საქმეზე დაპატიმრებული ლევან ჩაჩუა იქნება, თუმცა საკომიტეტო მოსმენებზე პოლიტპატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა იქნება და არგუმენტირებულად ისაუბრებენ. მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ალეკო ელისაშვილი ყველაფერს ფარდას ახდის, რა ხდება და რაშია საქმე.

**— თუ ხელისუფლებამ ისევ იგნორირება გაუკეთა პოლიტპატიმრების მოთხოვნებს, რას აპირებთ?**

– მაშინ საპროტესტო ფორმებს მივმართავთ, რა თქმა უნდა, სამართლებრივ ჩარჩოებში. ჩვენ ჯერ ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგისთვის ვემზადებით, მაგრამ ფაქტია, ამის ატანა უკვე აღარ შეიძლება. ეს უკვე გაცდა „ნაციონალური მოძრაობის" ავანტიურისტების პიარს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დიპლომატები ვიზალიბერალიზაციის შესახებ ანგარიშის გადადებას ტექნიკურ პრობლემას უკავშირებენ



ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის ანგარიშის გადადებას ტექნიკურ პრობლემებს უკავშირებენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები.

დიპლომატების განცხადებით, საკითხი რამდენიმე დღეში მოგვარდება და პროგნოზები პოზიტიურია.

საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩის თქმით, განწყობა ოპტიმისტური უნდა იყოს, რადგან ქვეყანა სწორ გზას ადგას. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განმარტებით, ვაშინგტონს მჭიდრო კონტაქტი აქვს ევროკავშირთან ამ საკითხზე.

ესტონეთის ელჩის შეფასებით, ამ ეტაპზე საქართველომ ყველა ვალდებულება შეასრულა და უვიზო მიმოსვლა ძალაში 5-6 თვეში შევა. (kvira.ge)

## „წინასაარჩევნო თამაში დაიწყო! ფრთხილად!"



პარტია „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ალექსანდრე ელისაშვილს მიმართავს და ყველაფრის თქმისკენ მოუწოდებს, – „ორი მექრთამის მიზნობრივად მხილებელო! არ გაგაფრთხილეს, რომ მესიჯები, საკუთარი პასტით თუ არ მოგწერეს, იშლება? არც ის გითხრეს, რომ გეგმაში ამ ორი ქალბატონის ჩაძირვაა და არა პროკურორების?

რატომ ბოლომდე არ ამბობ ყველაფერს და ყველაზე, ალეკო? ჯერ არ მიუთითებიათ და იმიტომ?", – წერს სარიშვილი. (news.ge)

## „დადგება მალე ვაზელინის სუნი გურჯისტანში..."



ცოტნე გამსახურდია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით „ფეისბუკში" წერს:

„გამოჩნდებიან ძველი, წინაზე მწარედ მოტყუებულები, რათა ახლიდან სცადონ ბედი. მათ დაემატებიან, ვინც წინა არჩევნებზე ფსონი მაშინდელ მმართველ პარტიაზე დადო და არ გაუმართლა...

იმათაც, ამათაც, სხვათაც – ვინც ჯერ ქალიშვილია და ახლა აპირებს, მიზანი ერთი აქვთ – გამორჩენა. არც ერთ მათგანს არავითარი იდეა, ხედვა ქვეყნის მომავლისა. თავისი პატარა სახრავი (ზოგმა – დიდი) გაინაღდონ და მერე ქვასაც უთოვია, ლუდოვიკო მზეთა მეფის არ იყოს...", – წერს გამსახურდია. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივას ბიუროზე კამათი მოჰყვა



პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების თაობაზე „ნაციონალი“ დეპუტატის, ზურაბ ჯაფარიძის საკანონმდებლო ინიციატივის გაწვევის საკითხი დადგა, თუმცა, კამათის შემდეგ, საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის დღის წესრიგში დარჩა.

როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა განაცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის სხდომა ოთხჯერ დაინიშნა, მაგრამ მომხსენებელი არ გამოცხადდა. შესაბამისად, კახიანმა ჯაფარიძის საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის კიდევ ერთხელ გადაწევა არამიზანშეწონილად მიიჩნია.

„რამე საწინააღმდეგო არ მაქვს, რომ ეს საკითხი განვიხილოთ. სხდომა ოთხჯერ დავნიშნე და მომხსენებელი არ მოდის. კი ბატონო, კომიტეტის სხდომას მეხუთეჯერ დავნიშნავ, არც ეგ არის პრობლემა, მაგრამ რაღაც სტანდარტებსა და პრინციპებზე უნდა შევთანხმდეთ“, – განაცხადა კახიანმა.

ზურაბ ჯაფარიძემ ბიუროს განხილვის ვადის გადაწევა 25 დეკემბრამდე სთხოვა. საბოლოოდ, კომიტეტებისა და ფრაქციების ხელმძღვანელებმა ვადის გაგრძელების საკითხს მხარი დაუჭირეს. (ინტერპრესნიუსი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**სამართლის დოქტორი, ავთანდილ კახნიაშვილი სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა გადაუდებელ ცვლილებაზე საუბრობს. რატომ და ვისით უნდა ჩანაცვლდნენ მოქმედი მოსამართლეები? რა რჩევებს აძლევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და პარლამენტს?**

**„ალიას“ ავთანდილ კახნიაშვილი ესაუბრა:**



# სამართლის დოქტორი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხელს

– დემოკრატიულ სახელმწიფოში, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი არის დამოუკიდებელი სასამართლო. 1991-ში თითქოს განხორციელდა სასამართლო რეფორმა, მერე 1997-98 წლებში განხორციელდა, ამის მერე 2004-ში... ყველაფრის მიუხედავად, დამოუკიდებელი სამართლოს ვერ ვეღირსეთ. ხელისუფლების ცვლილების მერეც, ძალიან დიდი ხანია თითქოს ვახორციელებთ ამ რეფორმებს, მაგრამ შედეგი არასახარბიელოა. მე ახლა, ხელში მიჭირავს, მიმდინარე წელს, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემული ორენოვანი ბუკლეტი, სადაც საუბარია წარმატებულ რეფორმებზე. ცუდია, რომ თავს ვიტყუებთ. რეფორმები უცხოელების დასანახად კი არ უნდა ჩავატაროთ, რეალური რეფორმებია გასატარებელი. იმავე ფლაერში დიდი ქება-დიდებითაა მოხსენიებული ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი, როცა მას არც ერთი პრაქტიკოსი იურისტი არ იწონებს. უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს მთავარი აქცენტი უნდა გაეკეთებინა მოსამართლეების საკადრო შემადგენლობაზე. მოსამართლეებად უნდა შევარჩიოთ ძალიან წარმატებული ადვოკატები და მათი გამოცდილება უნდა იყოს იმის დასტური, რომ იქნებიან დამოუკიდებელი მოსამართლეები. მოსამართლეთა კორპუსი დაშინებულია.

**— ადვოკატები კი ახსენეთ, მაგრამ გვყავს იმდენი კადრი, რომ მოქმედი მოსამართლეები ჩაანაცვლონ?**

– არ არის ეს პრობლემა. რა, მოქმედი მოსამართლეები გამოცდილებით მოვიდნენ? უამრავი იურისტია, რომელთა სამართლიანობის დონის დადგენა ასე თუ ისე შესაძლებელია, მათი წარსული და არსებული საქმიანობიდან გამომდინარე. გვენეტაძემ კი თქვა, რომ მოვიდა, საკადრო ცვლილებებს განვახორციელებო, მაგრამ არ გამოსდის ძირეული ცვლილებები, იმიტომ, რომ ვერ უბედავენ „სითი პარკს“, რომელიმე ადმინისტრაციულ ორგანოს, ან პოლიციას, სამართლიანობა აღადგინონ.

მივმართავ ნინო გვენეტაძეს, რომ დაიწყოს ძირეული რეფორმები. ე.წ. მართლმსაჯულების ინსპექტორის ინსტიტუტი უნდა შეიქმნას, რომელიც იქნება შედგენილი დამოუკიდებელ პიროვნებათა ჯგუფისგან, რომლებიც შემდეგ გადაამოწმებენ, მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სისხლის სამართალში მოსამართლეთა კორპუსი, 9 წლის განმავლობაში, 99% გამამტყუნებელი განაჩენები რომ გამოდიოდა, პროკურატურას რომ ვერაფერს უბედავდნენ, ხომ ნიშნავს იმას, რომ დღეს ეს მოსამართლეები ვერ იქნებიან დამოუკიდებლები?! სამწუხარო ვითარებაა სამოქალაქო საქმეებშიც. ამიტომაცაა აუცილებელი მოსამართლეთა ძირეული ცვლა. საქმე გვაქვს მოსამართლეებთან, რომლებთან ურთიერთობაც არ აძლევს საშუალებას გვენეტაძეს, რამე გააკეთოს. მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებებით შემოიფარგლა მთელი ეს პერიოდი. შედეგად არაფერი გაკეთებულა საქმეების შესამცირებლად, ისევ რიგები დგას სასამართლოებში. ასევე, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის შეცვლა. დღემდე არ აღგვიდგენია, შინაპატიმრობა. ბრალდებულად ყოფნის ვადა ერთწლიანი რომ იყო და ახალი კოდექსი რომ მივიღეთ 2009 წელს, მაშინვე რომ შეცვალეს და დღეს რომ უკვე შესაძლოა, განუსაზღვრელი ვადით იყოს ადამიანი ბრალდებული, ეს ნორმალურია?! ჩვენ რომ ვადები გვაქვს გაჭიანურებული, ყველა რომ არღვევს ამ ვადებს, მოსამართლეთა დიდი ნაწილი რომ ყალბ დოკუმენტებს ამზადებს, 4-5 თვის მერე რომ წერენ გადაწყვეტილებებს და უმეტესად სრულიად დაუსაბუთებელს, ეს როდემდე უნდა გაგრძელდეს? ეს ყველაფერი ხომ ხელყოფს, საერთო ჯამში, სასამართლო სისტემის რეპუტაციას?!

აქვე, მოვუწოდებ პარლამენტს, უარი ვთქვათ საკონსტიტუციო სასამართლოზე, იმიტომ, რომ პოლიტიკურ ორგანოდაა ქცეული. „ნაციონალების“ კადრებითაა სავსე. ჩამოვიყვანოთ თბილისში, შევუერთოთ უზენაეს სასამართლოს, საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებების პალატის სახით.

**— ამ რეკომენდაციებზე ესაუბრეთ ნინო გვენეტაძეს?**

– არა მარტო თავმჯდომარეს, არამედ იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს, პარლამენტს და პრეზიდენტსაც მივმართე. ქალბატონი ნინო შემხვდა, მივაწოდე ჩემი შენიშვნები და წინადადებები. იუსტიციის სამინისტროდან მადლობა მომივიდა, სამაგიეროდ არანაირი რეაგირება არ ყოფილა პარლამენტიდან და პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. ამიტომაც მივმართავ ახლა საჯაროდ თითოეულ მათგანს. სამწუხაროა, რომ სიტყვით ვაშენებთ სამართლიან სასამართლოს, ხოლო საქმით ტოტალიტარულ რეჟიმს ვამყარებთ. საგანგაშოა, რომ მთელი სისტემა გადამკვდარია ბიუჯეტის შევსებაზე და არა ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## არსენ ავაკოვის „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოსტი

ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილთან დაპირისპირების ამსახველ ვიდეოს უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა თან დაურთო „ნულოვანი ტოლერანტობის" პოსტი, რომელშიც ის ქვეყნის პრეზიდენტს და სხვა პირებს პირადად მიმართავს (შეგახსენებთ, პოროშენკომ ავაკოვ-სააკაშვილის დაპირისპირებას „სამარცხვინო ინციდენტი“ უწოდა):



1. პეტრე პოროშენკოს: თქვენ, პატივცემულო პრეზიდენტო, გაავრცელეთ განცხადება და მე, რბილად რომ ვთქვა, გაკვირვებული ვარ. ვის სდებთ ბრალს ქსენოფობიაში? მე? სომეხს, რომელიც 3 წლის ასაკიდან უკრაინაში ცხოვრობს? მე მეუბნებით? ვინ მოგაწოდათ ეს შაბლონური განცხადება? მე მელაპარაკებით? ვისაც ინსტიტუტის ქუჩაზე სცემდნენ თქვენთან ერთად? 10 დეკემბერს ერთად ვაკავებდით „ბერკუტს" მაიდანზე, უკრაინელებთან ერთად – უკრაინელ ბელორუსებთან, სომხებთან, ქართველებთან, ებრაელებთან ერთად - თუ ასე არ იყო? თქვენ არ იდექით ჩემ გვერდით?

მე მელაპარაკებით? რომელმაც მიიღო ხარკოვის ადმინისტრაციის შენობაში სეპარატისტების შტურმით აღების გადაწყვეტილება „იაგუარის" პატარა რაზმით? ქსენოფობია არა? განა ჩემს სახლში შემოვარდნას არ ცდილობდა 50-მდე ახალგაზრდა რუსული დროშებით, ჯოხებით და პისტოლეტებით? მე ამ დროს ჩემს „ქსენოფობ" ცოლს ვამშვიდებდი 2 დამხმარესთან ერთდ და ვითვლიდი, რამდენი ტყვია მქონდა პისტოლეტში – გავმაგრებულიყავი სანამ ჩვენები არ გამოგვიყვანდნენ. თუ ამას ვინმე სხვა აკეთებდა?

ეს თქვენ ჩემთვის დაწერეთ? ჩემთვის? რომელმაც შსს-ში მოხალისეები ჩამოაყალიბა მაიდანის პატრიოტებისგან, რომლებმაც ომის პირველ დღეებში შეაკავეს აგრესია, როდესაც არმიამ უარი თქვა ბრძოლაზე? მე, რომელსაც სააკაშვილმა ბრალი სწორედ ამაში დამდო – ამ ბიჭებს მან უკანონო ბანდფორმირებები უწოდა, რომლებსაც თურმე მე ჩემი კორუფციული შემოსავლით ვინახავ?! მე ომის დასაწყისში პირადი 210 ათასი აშშ დოლარი მოვიტანე და დავურიგე ნაციონალური გვარდიის პირველ და მეორე სარეზერვო ბატალიონს, მაშინ სახსრები არ გვქონდა და ყველაფერი მხოლოდ იწყებოდა. ვიცი, რომ თქვენ გვეხმარებოდით და თანხებს ურიცხავდით ფრონტს ჯერ კიდევ მაშინ როდესაც პრეზიდენტი არ იყავით – ეს ვიცი, მაგრამ თქვენ არანაირი რეაგირება არ მოახდინეთ ამ პოპულისტის გამოხტომაზე. ეს ჩემთვის ამაზრზენია, მგრამ გავუძლებ, ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა არ არის.

თქვენთან ყოველთვის გულწრფელად ვსაუბრობდი, ბატონო პრეზიდენტო და თქვენ გულწრფელად გითხარით ის, თუ რას ვფიქრობდი ამ საკითხზე.

თქვენ მომიწვიეთ რადას ანტიკორუფციულ ოფისში – ამ თქვენს ოფისში მე არ მაძლევდნენ აზრის გამოხატვის საშუალებას. ორჯერ მოგმართეთ და არაფერი გამოვიდა – ალბათ ეს სპექტაკლი მხოლოდ სააკაშვილისთვის იყო და ის ერთადერთი არ იყო, რომელსაც მდუღარე კავკასიური სისხლის აქვს.

მე ერთი ქვეყანა მაქვს – უკრაინა. ბინა მაქვს ხარკოვში (სადაც თითქმის სამი თვეა არ ვყოფილვარ), სადაც ვინახავ მილიარდებს, სააკაშვილს რომ ვკითხოთ. რეალურად კი მეოთხე წელია ვცხოვრობ იქ, სადაც ადრე ვცხოვრობდი – სასტუმრო „კიევის" 12-მეტრიან ნომერში, სადაც თქვენც იყავით ბარიკადების პერიოდში. ნომერში ყველაფერი ისევ ისეა, გარდა მადუღარისა და ახალი ტელევიზორისა. მე სამწუხაროდ არ მაქვს ორი ციხესიმაგრე იტალიაში, როგორც გიყვებიან. დანარჩენს კი მოგიყვებიან ისინი, ვინც მე, შვილს, ცოლს, მძღოლს და დამხმარეებს გვითვალთვალებენ. ხომ არ გეგონათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა მათ შესახებ არ იცოდა ან ვერ ეგუებოდა ამ ყველაფერს, ვეგუები ქვეყანაში რეფორმებისა და ცვლილებების გამო – ყოველდღე ახალი შესაძლებლობები ამის საშუალებას მაძლევს. ვითმენ რეფორმების გატარებისთვის და არა სააკაშვილის დადგმული სცენებისთვის, რომელიც უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე საქმეს აკეთებს.

2. დავით საყვარელიძე - თქვენ არ გიცნობთ. თუმცა თქვენი წერილის მიხედვით თქვენზე ბევრი გავიგე. რათა ბოლომდე გავერკვე სიტუაციაში, ერთი ბოლომდე მიყვანილი საქმე მაინც მანახეთ - „ბრილიანტის პროკურორების საქმე" ან თქვენი გარემოცვის ბინების შესახებ მოგვიყევით რამე, თქვენო მოუსყიდებლობავ... (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვწუხვარ, რომ პრემიერ-მინისტრს ქურდი ვუწოდე, თუმცა უფრო მეტად ვწუხვარ, რომ ეს სიმართლეა“



ასეთი კომენტარი გააკეთა ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მას შემდეგ, რაც უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა სოციალურ ქსელში მასა და სააკაშვილს შორის მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირების ამსახველი ვიდეოკადრები გაავრცელა.

„ვიდეოში, რომელიც ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადმომცეს, კარგად ისმის, როგორ მიწოდა პრემიერ-მინისტრმა „გასტროლიორი“ და „მარიაჟი“, მისმა მინისტრმა კი, მომიწოდა, გავეთრიო „მისი ქვეყნიდან“. პრემიერ-მინისტრსა და შინაგან საქმეთა მინისტრთან მიმართებაში სიტყვა „ქურდები“ გამოვიყენე და ამ სიტყვებზე უარს არ ვამბობ. მე მიყვარს უკრაინა და ჩვენს ქვეყანას ქურდებსა და თაღლითებისგან გავათავისუფლებთ“, – წერს სააკაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

# ვინ ხეირობს ხელისუფლებიდან მარჯვენასაჭიანი და ასაკიანი მანქანების აკრძალვით?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



გამწარებულმა ავტომფლობელებმა უკვე ზეპირად იციან, რომ შსს მათთვის „წირვის გამოყვანას“ აპირებს – აიკრძალება როგორც მარჯვენა საჭიანი მანქანების რეგისტრაცია, ასევე საჭის გადატანა, 9-წლიან და უფრო ასაკიან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი იზრდება; .

ამ საკითხზე გამოითქვა ვერსია, რომ ხელისუფლების მიზანია რიგითმა ადამიანებმა იაფიან მანქანების შეძენა ველარ შეძლონ და საცობების პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდება.

**სინამდვილეში რატომ გადაწყვიტა აღნიშნული რეგულაციის შემოღება საქართველოს მთავრობამ? ვისი ბიზნესინტერესებია ხელისუფლებაში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების შემოყვანის აკრძალვასა და ძველის შემოყვანაზე პრობლემების შექმნაში?**

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების ფასებზე გამოიწვევს სერიოზულ რყევას. 12 წლისა და ზემოთ ასაკის ავტომობილების თვითღირებულებაზე აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება აისახება ყველაზე უარყოფითად, განბაჟების ღირებულება საშუალოდ 500%-ით გაიზრდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ავტომობილის თვითღირებულება, საშუალოდ, 100%-ით გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, მთლიან შიდა საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნა, საშუალოდ, 75%-85% მეორად, 10 წლის და ზემოთ ასაკის ავტომობილებზე მოდის და ხელმისაწვდომია საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლებისთვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

საქართველოში, სტატისტიკურად, საავტომობილო ბაზარზე მოთხოვნის მიხედვით ლიდერობენ 9 წელზე მეტი ასაკის „მერსედესისა“ და „ჰონდას“ მარკის ავტომობილები. შედარებით ახალ ავტომობილებზე არსებული შემცირების მიუხედავად, ეს ავტომობილის საშუალო მყიდველისთვის მაინც გაძვირებას ნიშნავს, რადგანაც, საშუალოდ, ქვეყანაში მოსახლეობა 9 წელზე უფრო ასაკიან ავტომობილებს ყიდულობს.

მაგალითისთვის, თუ დღევანდელი განბაჟების სისტემით 9 წელზე მეტი ასაკის „ცე“ კლასის „მერსედესის“ მარკის ავტომობილის ღირებულება შეადგენდა 4 ათას აშშ დოლარს, ახალი რეგულაციით აღნიშნული ავტომობილის თვითღირებულება გაიზრდება 70%-ით და შეადგენს 8 ათას აშშ დოლარს.

**— გამოდის, მეორადი ავტომობილების იმპორტის ბიზნესიც ჩაკვდება, უმუშევრები დარჩებიან და ოჯახებიც დამშეული ეყოლებათ...**

– ეს რეგულაცია მთლიანად გაანადგურებს მეორადი ავტომობილების იმპორტით დაკავებულ ადამიანებს, გაკოტრდება ყველა მსგავსი სადილერო და იმპორტიორი კომპანია, 10 ათასობით ადამიანი დაკარგავს სამუშაო ადგილს.

– მაგალითისთვის გვითხარით, ჩემზე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეზე, როგორ შეიძლება აისახოს ყოველივე ეს?

– საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის ავტომობილი აღარ არის ხელმისაწვდომი. მეტიც, ავტომობილი იბრუნებს სტატუსს საქართველოში და ხდება ისევ ფუფუნების საგანი.

**— ამ აკრძალვების შესახებ სხვადასხვა ვერსიები მომისმენია. მაგალითად, მანქანების მზარდი რაოდენობის შემცირება და რამენაირად საცობების პრობლემის მოგვარება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– ხელისუფლებას რომ მოუსმინო, მათი მიზანია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ეს სინამდვილისგან შორსაა. თუ ხელისუფლებას ეკოლოგიაზე ზრუნვა უნდა, საკმარისი იყო გადასახადებისგან გაეთავისუფლებინათ ელექტრო და ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილები. გადასახადის მოხსნა მნიშვნელოვნად შეამცირებდა მსგავსი ტიპის მეორად ავტომობილებზე ღირებულებას და იქნებოდა ერთგვარი მოტივაცია მომხმარებლისთვისაც, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

მეორე მიზანი, რასაც ამბობენ, ავტოპარკის განახლებაა. მინდა მათ შევახსენო, რომ მსგავსი რეგულაციით ავტოპარკის განახლება შეუძლებელია, ავტოპარკის განახლება პირდაპირ მიბმულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ადამიანის შემოსავლებზე... საშუალება რომ ჰქონდეს ადამიანს, ვინმერ თქმა სჭირდება, რომ ახალი ავტომობილი მეორადზე უკეთესია? თუ გადავხედავთ საქართველოს ახალი ავტომობილების ბაზარს, არჩევანი საკმაოდ დიდია, მაგრამ ფასებიც შესაბამისია და მოსახლეობის მცირედი პროცენტი აძლევს საკუთარ თავს უფლებას, შეიძინოს ძვირად ღირებული ახალი ავტომობილები, რომელთა ღირებულება, საშუალოდ, 25 ათასი აშშ დოლარიდან იწყება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ახალი ავტომობილების ბაზრის წახალისებაში ხელისუფლება რუსული წარმოების შედარებით იაფფასიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს გულისხმობდა.

**— რატომ რუსული?**

– იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნე, განბაჟების ახალი სისტემის შემოღების შედეგად, მეორად ავტომობილებზე ფასი 100%-ით იზრდება, ხოლო ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, თავისი დაბალი ფასიდან გამომდინარე, კონკურენციაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ რუსული წარმოების იაფფასიან ავტომობილებთან, როგორიცაა „ლადას“ სხვადასხვა მარკის მოდელები; „გაზ“-ის სხვადასხვა მარკის მოდელები და ასევე, რუსული წარმოების ჩინური ავტომობილი „დატსუნი“. ამ ავტომწარმოებლების ახალი ავტომობილების ღირებულება იწყება 7 ათასი აშშ დოლარიდან, რაც პირდაპირ კონკურენციაში შედის 9 წელზე ზემოთ ასაკის, ევროპულ და ამერიკულ იმპორტირებულ ავტომობილებთან მათი გაზრდილი თვითღირებულებიდან გამომდინარე.

შეიძლება ერთ საინტერესო დასკვნამდეც მივიდეთ, თუ გადავხედავთ რუსული წარმოების ავტომობილების სადილერო კომპანიებს საქართველოში. მაგალითისთვის, რუსული წარმოების „გაზ“-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში „სტრადა ავტოა“. გავარკვიოთ კომპანიის მფლობელების ვინაობა და კავშირები ხელისუფლებასთან, მაგრამ ბევრად გვიმარტივებს ამოცანას, თუ ჩავხედავთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ტარიელ ხეჩიკაშვილის ავტობიოგრაფიას.

ტარიელ ხეჩიკაშვილი – 2001-2015 წ. „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ დამფუძნებელი. „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ შეიქმნა 1999 წელს. დღეისთვის წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე არსებულ ყველაზე დიდ საავტომობილო ჰოლდინგს, რომელიც მოიცავს, როგორც ახალი ავტომობილების გაყიდვას, ასევე, ავტოსერვისს, ავტოსათადარიგო ნაწილებს, ზეთებსა და საბურავებს. ახორციელებს ახალი ავტომობილების იმპორტირებასა და რეალიზაციას, ასევე, სთავაზობს კლიენტებს ავტომობილის ცვეთასთან და შეკეთებასთან დაკავშირებულ ყველა სახის მომსახურებას.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვია, ჩვენს კომპეტენციაში არ შედის საგამოძიებო საქმიანობა, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, აღნიშნული სტატიის საფუძველზე, გამოჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც გაარკვევენ, ვის ინტერესებში მარჯვენასაჭიანი და ასაკიანი ავტომანქანების აკრძალვა...

**ვასო ურუშაძესთან საუბრის შემდეგ, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან დაკავშირება ვცადეთ. როგორც სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, სოფო ჩაკვეტაძემ გვითხრა, მინისტრი ქვეყანაში არ იმყოფება.**

**შესაბამისად, კომპანია „სტრადა ავტოს“ დავუკავშირდით, სადაც კომპანიის წარმომადგენელმა, გიორგი ღლონტმა, სიტუაციაში გარკვევის შემდეგ გვითხრა, რომ ტარიელ ხეჩიკაშვილს „სტრადა ავტოსთან“ არანაირი კავშირი არ აქვს. კომპანიამ, ასევე, უარყო კავშირი „იბერია ბიზნეს ჯგუფთანაც“.**



საგადასახადო კოდექსის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომელში ცვლილების შეტანასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი კანონპროექტი :

| | | | |
|---|---|---|---|
| ა ) 1 წლამდე | 1 სმ ³ | 1.5 -ლარი | ცვლილება: 1.5 -ლარი |
| ბ ) 1 წლის | 1 სმ ³ | 1.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| გ ) 2 წლის | 1 სმ ³ | 1.4-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| დ ) 3 წლის | 1 სმ ³ | 1.3-ლარი | ცვლილება: 0.5-ლარი |
| ე ) 4 წლის | 1 სმ ³ | 1.2-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ვ ) 5 წლის | 1 სმ ³ | 1-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ზ ) 6 წლის | 1 სმ ³ | 0.7-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| თ ) 7 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ი ) 8 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| კ ) 9 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 0.5 -ლარი |
| ლ ) 10 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| მ ) 11 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| ნ ) 12 წლის | 1 სმ ³ | 0.5-ლარი | ცვლილება: 1.5-ლარი |
| ო ) 13 წლის | 1 სმ ³ | 0.6-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |
| პ ) 14 წლის | 1 სმ ³ | 0.7-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |
| ჟ ) 14 წელზე მეტის | 1 სმ ³ | 0.8-ლარი | ცვლილება: 2.5-ლარი |

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მსმენია იმ პირების გადაჭარბებული აქტივობის შესახებ, ვინც დღეს თავს იმართლებს“



პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი, ვანო მაჭავარიანი, შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ერთ-ერთი საუბრის მომსწრე თავადაცაა. მაჭავარიანის თქმით, ალეკო ელისაშვილი რასაც საუბრობს, მას ამის საფუძველი აქვს.

„ჩემთვის ეს უცნობი არ არის. პრეზიდენტთან მუშაობის დროს მე მსმენია იმ პირების გადაჭარბებული აქტივობის შესახებ, რომლებიც დღეს თავის მართლების რეჟიმში არიან. ეს იყო საკმაოდ შემაწუხებელი და მე ვფიქრობ, ბატონი ელისაშვილი რასაც საუბრობს, ამის რეალური საფუძველი აქვს. მე არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ მე ვარ მომსწრე იმ საუბრისა, როდესაც ეს იყო შემაწუხებელი და ზედმეტად მიჩნეული ადმინისტრაციაში. პრეზიდენტი ჩემი მეგობარია და გვისაუბრია იმაზე, რომ ცოტა ზედმეტ ეჭვებს იწვევდა, თუ რას ემსახურებოდა კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით ეს ზედმეტი აქტივობა“, – აღნიშნა მაჭავარიანმა. (pia.ge)

## ალეკო ელისაშვილის მეუღლე: ასე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არ შემშინებია



თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის მეუღლე სოციალურ ქსელში მისი მეუღლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ასე „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არ შეშინებია, თუმცა მაშინაც ეშინოდა.

როგორც ირინა კილოსანიძე წერს, ყველაზე მეტად, როგორც თავად უწოდებს, „სამთავრობო არხის“, ანუ „ჯი-დი-ეს“-ის გადაცემა „20/30“-ის ანონსმა შეაშინა, სადაც დასმული იყო შეკითხვები: რატომ ვერ წარუდგინა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ პროკურატურას მანანა კობახიძის მიერ მისთვის გაგზავნილი სმს-ი და რა მტკიცებულებები არსებობს ბრალდების დასამტკიცებლად?! როგორ განვითარდება პროცესები?! შეიძლება თუ არა, პასუხისგებაში მიეცეს ალეკო ელისაშვილი, თუ ის მტკიცებულებების წარმოდგენას ვერ შეძლებს“, – წერს დეპუტატის მეუღლე. (კვირა.გე)



1. მხ/ფ „101 ...“
2. ბოსტნეული
3. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
4. მტაცებელი თევზი
5. მოსამართლის მოსასხამი
6. მცენარე, იძლევა ზეთს
7. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
8. ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში
9. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
10. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
11. კონტინენტი
12. მსახიობი ... პეპბერნი
13. საშიშროების სიგნალი
14. ავადმყოფობის ნიშნები
15. ქალაქი საფრანგეთში
16. მწვავე ტონზილიტი
17. მევიოლინე ... პაგანინი
18. ოჯახი სოფლად
19. ოპერა „... დალილა“
20. ცეცხლის ადგილი კედელში
21. მსახიობი ... დიუპუი
22. მსახიობი ... სმოქტუნოვსკი
23. პიესა: „კაკალა და ...“
24. მომღერალი ... ჯოხაძე
25. მსახიობი ... ხვიჩია
26. მთიდან ჩამოსული თოვლი
27. ქედი საქართველოში
28. დიდი ქვა
29. ქალაქი ლიტვაში
30. მსახიობი ... ნიუმენი
31. მხედველობა
32. მზის ღმერთი ეგვიპტეში
33. იგივე წურბელების აგროვებდა
34. წყვეტილი ხაზი
35. უნივერსიტეტი „... მატერი“
36. მხ/ფ „სიყვარულის ფორმულა“ ზღაპრობრივი ლიმფელი: გრაფი ...
37. მსახიობი გია ...
38. მეტყველების ექიმი
39. მაჟორი და ...
40. მობილურების ფინური ფირმა
41. ქალაქი რუსეთში
42. თავთავების კონა
43. მომღერალი ჯასტინ ...
44. „12 სკამი“ ... ბენდერი
45. ვიოლინოების ოსტატი
46. ჩუქჩების სახლი
47. მომღერალი ... ვაიკულე
48. ვინი პუხის ავტორი
49. რთული სიტყვების დამახსოვრების მეთოდი
50. პირის ნაცვალსახელი
51. მსახიობი ... კერტისი
52. ხრენნიკოვი
53. მსახიობი ვიაჩესლავ ...
54. ქალაქი კლდეში
55. მომღერალი ... კალასი
56. თაგვის სადგომი
57. ლეონიძე „ჩირიკი და ...“
58. მსახიობი ... ჟაკობი
59. რბილი ლითონი
60. სატრფიალო პოეზიის მუზა
61. ქიმიური ელემენტი
62. რეჟისორი ... ფელინი
63. ქალაქის ტიპის სოფელი
64. პუშკინი „... და ლუდმილა“
65. მოკრივე ... პოლიფილდი
66. მედეა ჩახავა ფილმში
67. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
68. „შერეკილები“ ქრისტეფორე მგალობლიშვილის სატრფო
69. დაბა სვანეთში
70. მხარე ფინეთთან
71. სიმებიანი საკრავი
72. „დორიან ... პორტრეტი“
73. მსახიობი ... ნოლტი
74. შეზღუდული კვების რეჟიმი
75. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
76. მხატვარი ედგარ ...
77. ფრანგული ვერცხლის ფული
78. კრივის შეხვედრის პერიოდი
79. ვოლფგანგ ამადეი ...
80. თვითმფრინავის გამყოლი
81. მხ/ფ „დევ ...“
82. ცხიმოვანი სისხვევი
83. სიო
84. მომღერალი ზურაბ ...
85. მსახ. ... სარაჯიშვილი
86. სესხი ბანკიდან
87. ოპერა „აბესალომ და ...“
88. შავი ფერის კვერცხი
89. ფეთქებადი ნივთიერება
90. მგალობელი ფრინველი
91. მოგზაური ... პოლო
92. ძლიერი სხივის ფიგური
93. შიიზმის მიმდევარი
94. რადიოლოკატორი
95. ყორღანი პოლოვცებთან
96. ჩვილი, ახლ ...
97. ბალზაკი. „მამა ...“
98. სპორტის სახეობა
99. ქალაქი რუსეთში
100. მომღერალი ... სოხაძე
101. თავადი ... გენერალი
102. ... უდუმაშვილი
103. მწერალი ... დე ბალზაკი
104. ალბანო და ... პაუერი
105. პიგმალიონის სატრფო
106. მომღერალი ... ოსბორნი
107. ... ლლოიდ ვებერი
108. გასაშლელი ნაჭრის ოთახი
109. სტადიონი ერევანში
110. ღორის ნაშიერი
111. ღრმული წყნარ ოკეანეში
112. შენობა საწნახლით
113. ცნობილი მსახიობის ძალიან პატარა როლი ფილმში
114. მუსიკ. ნაწარმოები ხალხურ თემაზე
115. შოკოლადის ხის ნაყოფი
116. პოეტი ... შევჩენკო
117. გერდას მეგობარი ბიჭუნა
118. უფლის სამოსი
119. მსახიობი კამერონ ...
120. ინკების კვანძოვანი დამწერლობა
121. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
122. ამერიკელი მომღერალი ქალი
123. მსახიობი ... ლონგორია
124. მსახიობი ... დარკი
125. თბილისის უბანი
126. წაწვეტებული მბლის ფეხზე
127. მსახიობი ... დელონი
128. ცხენოსნური თქმულება
129. შვედური ხურდა ფული
130. პატარა არხი
131. მხატვარი ... თოიძე
132. მსახიობი შონ ...
133. შვედური საესტრადო ანსამბლი
134. „რვაფეხა“ ... კატანი
135. რუსი ილუზიონისტი
136. სამხატვრო გამოფენა
137. კერძების ჩამონათვალი
138. ჩანჩქერი აშშ-ში

პასუხები: 1. დალმატინელი; 2. ბადრიჯანი; 3. კუპიდონი; 4. ხმალთევზა; 5. მანტია; 6. მზესუმზირა; 7. ვუნდერკინდი; 8. ანანური; 9. პოლონეზი; 10. მემ; 11. აზია; 12. ოდრი; 13. სირენა; 14. სინდრომი; 15. გრენობლი; 16. ანგარი; 17. ნიკოლო; 18. კომლი; 19. სევილიელი; 20. ბუხარი; 21. როი; 22. ინოკენტი; 23. მარო; 24. ანრი; 25. იპოლიტე; 26. ზვავი; 27. ლიხი; 28. ლოდი; 29. კლაიპედა; 30. პოლ; 31. ჩინი; 32. რა; 33. დურემარი; 34. პუნქტირი; 35. ალმა; 36. კალიოსტრო; 37. სიხარულიძე; 38. ლოგოპედი; 39. მინორი; 40. „ნოკია“; 41. სმოლენსკი; 42. ძნა; 43. ტიმბერლეიკი; 44. ოსტაპ; 45. ამატი; 46. იარანგი; 47. ლაიმა; 48. მილნი; 49. მნემონიკა; 50. მე; 51. ტონი; 52. ტიხონ; 53. ტიხონოვი; 54. ვარძია; 55. მარია; 56. სორო; 57. ჩიკოტელა; 58. ირენ; 59. კალა; 50. ერატო; 61. სილიციუმი; 62. ფედერიკო; 63. დაბა; 64. რუსლან; 65. ევანდერ; 66. ნინო; 67. ანდორა; 68. თამუნია; 69. მესტია; 70. კარელია; 71. არფა; 72. გრეის; 73. ნიკ; 74. დიეტა; 75. ძიძია; 76. დეგა; 77. ლივრი; 78. რაუნდი; 79. მოცარტი; 80. სტიუარდესა; 81. ტრეისი; 82. თია; 83. ნიავი; 84. სოტკილავა; 85. ნანული; 86. კრედიტი; 87. ეთერი; 88. ყუა; 89. ამონალი; 90. მოლაღური; 91. მარკო; 92. ლაზიერი; 93. შიიტი; 94. რადარი; 95. მამაი; 96. ალუა; 97. გორიო; 98. კრივი; 99. მურმანსკი; 100. ირმა; 101. ვრანგელი; 102. ზაალ; 103. ონორე; 104. რომინა; 105. გალატეა; 106. ოზი; 107. ენდრიუ; 108. კარავი; 109. რაზდანი; 110. გოჭი; 111. მარიანი; 112. მარანი; 113. კამეო; 114. რაფსოდია; 115. კაკაო; 116. ტარას; 117. კაი; 118. კვართი; 119. დიასი; 120. კიპუ; 121. სერ; 122. ენია; 123. ევა; 124. მირეი; 125. დიდუბე; 126. დეზი; 127. ალენ; 128. საგა; 129. ერე; 130. რუ; 131. მოსე; 132. კონერი; 133. „აბბა“; 134. კორადო; 135. კიო; 136. ვერნისაჟი; 137. მენიუ; 138. ნიაგარა. იკითხება: მირეი მატიე.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## ცვლილებები „ფეისბუკში“ – რა „ემუქრება“ მას, ვინც გამოგონილი სახელით რეგისტრირდება



„ფეისბუკზე“ „ნამდვილი სახელის“ პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში ჩაეშვა. დარეგისტრირებულ მომხმარებლებს კომპანია სთხოვს, რომ ნამდვილი სახელებით დარეგისტრირდნენ.

გუშინ „ფეისბუკის“ ოფიციალურ ბლოგში შემდეგი წერილი გამოქვეყნდა: „ჩვენ ვითხოვთ, რომ ხალხმა გამოიყენოს ის სახელები, რომლითაც მათი მეგობრები და ოჯახის წევრები იცნობენ. ჩვენ ბოლომდე გავატარებთ ამ პოლიტიკას და არ შევცვლით. მას შემდეგ, რაც დავაკვირდით მომხმარებლების გამოხმაურებას, გავაცნობიერეთ, რომ, აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ ამ პოლიტიკამ ყველასთვის თანაბრად იმუშაოს, განსაკუთრებით მარგინალიზებული და დისკრიმინებული თემებისთვის“.

ორი დიდი ცვლილება ასე გამოიყურება:

1. თუ ხედავთ, რომ ვინმეს ნამდვილი სახელი არ აქვს მითითებული და არეპორტებთ მას, მოგიწევთ დამატებითი ინფორმაციის მითითება, თუ რატომ არეპორტებთ ამ სახელს. „დამატებითი კონტექსტი დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ, რატომ ხდება სახელის დარეპორტება და სპეციფიკურ სიტუაციაზე კონკრეტული ინფორმაცია გვექნება“, – ნათქვამია „ფეისბუკის“ ბლოგპოსტში.

2. თუ ფეისბუკ-სახელი არ ემთხვევა თქვენს რეალურ სახელს, შესაძლებელია, ახსნათ იმ სპეციალური გარემოების შესახებ, რატომაც გსურთ ამ სახელის ტარება. თუ ეს მიზეზი სერიოზული ხასიათის იქნება, „ფეისბუკი“ უფლებას დაგრთავთ, დაიტოვოთ არაავთენტური სახელი.

ამჟამად, სოციალურ ქსელში აქტიურად მუშაობენ ყალბი სახელებით დარეგისტრირებული მომხმარებლების გამოსააშკარავებლად. თუ თქვენ რეალური სახელით არ ხართ დარეგისტრირებული, იძულებული იქნებით, წარადგინოთ ოფიციალური საბუთი საკუთარი სახელის დასადასტურებლად. „ფეისბუკი“ ერთკვირიან ვადას იძლევა, სანამ დაამტკიცებთ საკუთარი სახელის ავთენტურობას.

„ნამდვილი სახელის“ პოლიტიკაში ცვლილებები ჯერ კიდევ წინაა.

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ძვირფასო ქალებო, ამ თემებზე მამაკაცებს არ ესაუბროთ!..



ქალების ლაქლაქის ამტანობაზე არაერთი კაცი ხუმრობს, ან სერიოზულად განიხილავს ამ თემას. ბევრი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ უყვარს ქალი, ხშირად ძალიან ბურღავს ტვინს თავისი ლაპარაკით.

ქალებო, იცოდეთ, რაზე არ უნდა ელაპარაკოთ საყვარელ მამაკაცს, რომ მისგან უყურადღებობა არ იგრძნოთ და მერე არ გეწყინოთ.

ბრიტანელებმა ჩაატარეს კვლევა, რომელშიც ორივე სქესის 2000 წარმომადგენელი მონაწილეობდა. გამოიკვეთა 10 თემა, რომელიც კაცებს არ აინტერესებთ. კაცებს არ აინტერესებთ თქვენი სამსახურისა და კოლეგების ამბები, ასევე, ისტორიები უცნობ ადამიანებზე. ისინი პირდაპირ ვერ იტანენ ცნობილი ადამიანების ცხოვრების დეტალების განხილვას, მათ შორის სექსუალური ამბების. კაცებს არ აღელვებთ ინტერნეტსამყაროში მომხდარი ამბები. აკრძალულ თემათა სიაში შევიდა სუფთად ქალური თემები, როგორიცაა მოდა, შოპინგი, დიეტა.

გაგიკვირდებათ და კაცებს ისიც არ აინტერესებთ, რა მიირთვით სადილად. თუ არასასურველ თემებზე დაიწყებთ საუბარს, მერე თუნდაც ფეხბურთზე ჩამოუგდოთ სიტყვა, ყურადღებას მაინც ველარ მოიკრებს, მაქსიმუმ ორჯერ შეძლოს თავისი საფიქრალიდან თქვენთან დაბრუნება.

აი, თუ საუბარი თქვენს ურთიერთობას ეხება, ხომ მხოლოდ 6 წუთი შეუძლია გონების უმაღლესი დაძაბვით დაგიგდოთ ყური.

კაცებისგან განსხვავებით, ქალების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი თემისადმი უფრო ყურადღებიანები არიან. ქალების 55 პროცენტი გამოტყდა, რომ კაცებისგან უყურადღებო დამოკიდებულება ხშირად შეუნიშნავთ, ამიტომ ამოწმებენ ხოლმე, უსმენენ თუ არა საყვარელი მამაკაცები ქალის საუბარს.

***globalscience.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მამაკაცები სილამაზეს ეგოიზმამდე მიჰყავსო



ვინც ფიქრობდა, რომ ქალებს სილამაზე თავში უვარდებათ, შეუძლიათ კაცებზე გადაიტანონ ყურადღება და აღმოაჩინონ, რა ემართებათ კაცებს, როცა საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი არიან.

კვლევის შედეგად, რომელშიც 200 ქალი და 100 კაცი მონაწილეობდა, აღმოჩნდა, რომ კაცები თავიანთი მიმზიდველი გარეგნობის გამო უფრო მეტად ეგოისტურები არიან, ვიდრე ქალები.

ფიფქიას დედინაცვალზე ხომ გადაირია ყველა, ასე რამ გააბოროტა ქალი, რა მოხდა, პატარა გოგო თუ ლამაზიაო, მაგრამ რატომღაც არავის ახსენდება, რომ ცნობილი ნარცისი, რომელიც სწორედ საკუთარი თავის ჭარბ სიყვარულს გამოხატავს, კაცი იყო.

მააშ, ძაღლის თავი იმაზე უფრო ღრმად არის დამარხული, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს ხოლმე.

***globalscince.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## არასრულწლოვანმა შვილმა სქესი შეიცვალა, დედამ – ტატუ



შვილი რომ მოვა და გეტყვის, ლამარას ნუ მეძახი, ჯემალი ვარო, რა გინდა, რომ ქნა?!

კანადის ქალაქ კალგარში მცხოვრები ლინდსი პისი კი უფრო რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. როცა 15 წლის შვილმა, ეისმა წერილი მისწერა და აუწყა, რომ გოგოობა მოსწყინდა და ბიჭობა გადაწყვიტა, თან ისიც დაურთო, ტატუ რომ გაქვს ჩემი, კიკინებიანი გამოსახულებით, მაკომპლექსებს, როგორც ბიჭს, და რამე მოუხერხეო.

ეისის მამა, სტივ პისი ტატუ-ოსტატია. 10 წლის წინათ თავად დაახატა ცოლს მათი სამი შვილის პორტრეტები, ახლა კი იძულებული გახდა, ორი გოგოდან ერთი ბიჭად გადაეკეთებინა. კიკინები მოაშორა, ვარდისფერი კაბის ნაცვლად კი ლურჯი მაისური და შორტი ჩააცვა.

– ძლიერი უნდა იყო, როცა საქმე შვილებს ეხებათ. აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა და ყოველთვის მზად უნდა იყო მათ დასახმარებლად, – აცხადებს ეისის მამა. სხვათა შორის, კანადაში სქესის შეცვლის ოპერაცია 16 წლიდან არის დაშვებული.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინურმა რესტორანმა სტუმრებს სუფთა ჰაერისთვის გადასახადი დაუწესა



ფულის კეთება ნიჭია, ჰაერზე ფულის კეთება ნიჭის ნიჭი!

ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის ქალაქ ცზიანსუს რესტორანში სტუმრებს ჩვეულებრივ დანახარჯზე ერთი იუანით მეტი გადაახდევინეს. როგორც რესტორანში ამბობენ, ქალაქის ჰაერთან შედარებით, მათთან ჰაერი გაფილტრული და სუფთაა, ეს კი, გენაცვალე, ხარჯებთანაა დაკავშირებული და მუქთა რა არის, რომ სუფთა ჰაერი იყოსო?!

სტუმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ანგარიშში ახალი პუნქტის დამატების გამო – რა არისო მართლა და მართლაო, რავა დავკარგეთ ადამიანობის უნარი და რავა ყველაფრისგან სარგებელს ველითო. პროვინციის ხელისუფლება გმობს, რესტორნის პოლიტიკას და ამბობს, რომ სუფთა ჰაერით მომსახურებას ფასი არ უნდა დაედოს.

სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილი კი ამბობს, რომ არა მარტო კონკრეტულ ქალაქში, არამედ ჩინეთში ისეა ჰაერი დაბინძურებული, თუნდაც ერთი საათით სუფთა ჰაერის ყლაპვა ფულის გადახდად ღირს.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## წლის ყველაზე პოპულარული და არასაიმედო პაროლები



დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი კომპანიის სპეციალისტებმა ყველაზე ცუდი და არსაიმედო პაროლების სია გამოაქვეყნეს.

პირველ და მეორე ადგილს ისეთი პრიმიტიული პაროლები იჭერენ, როგორიცაა ციფრები ერთიდან ექვსის ჩათვლით და თავად სიტყვა პაროლი.

ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ, თუ ჩვენი ანგარიშების დასაცავად მსგავს მარტივ პაროლებს გამოვიყენებთ, ბოროტმოქმედებს საქმეს გავუმარტივებთ, ისინი იოლად შეძლებენ პაროლის გატეხას და მშვიდობით პირადო ანგარიშო.

იმისთვის, რომ მშვიდად ვიყოთ და გამუდმებით არ გვქონდეს ჩვენს პირად სივრცეში შემოჭრის შიში, არა მხოლოდ უნდა მოვიფიქროთ პაროლი, რომელიც 12 სხვადასხვა ნიშნისგან შედგება, არამედ ეს პაროლი უნდა შევინახოთ თავში და არავითარ შემთხვევაში ფურცელზე ან სხვა რამე ტესტური დოკუმენტის სახით.

***globalscience.ru***



გურულმა პოლიციაში დაიწყო მუშაობა. პირველივე დღეს უფროსმა დაიბარა, მაგიდაზე ძებნილი ბოროტმოქმედების ფოტოები დაულაგა და ბრძანება მისცა:

– აი, ეს ხალხი გვყავს დასაპატიმრებელი!

– მერე, თქვე აბდლებო, აი სურათებს რო უღებდით, მაშვინ ვერ დეიჭირეთ?!

*****

ფსიქოლოგი მშობელს პატარა ვაჟის აღზრდაზე ესაუბრება:

– შვილს ძალიან მკაცრად ექცევით!

– საიდან მოიტანეთ?!

– საიდან და როცა ბავშვს სახელი ვკითხე, მიპასუხა: კოტე დაეგდე!

*****



მოსამართლე:

– აბა, მოგვიყევით საქმის გარემოებები.

– ესე იგი, შემათრია საწოლში და სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა!

– მოქმედებით?

– არა, უმოქმედობით!!!

*****

კარზე ზარია:

– გამარჯობათ. მე ფორტეპიანოს ამწყობი ვარ.

– ჰო, მაგრამ არანაირი ამწყობი მე არ გამომიძახებია!

– ვიცი... თქვენმა მეზობლებმა გამომიძახეს...

*****



მამაკაცი: გამარჯობა, ფისუნია!

ქალი: ფუუ! ვერ ვიტან კატებს, მათზე ალერგია მაქვს!

მამაკაცი: აბა, რომელი ცხოველები მოგწონს?

ქალი: ძაღლები!

მამაკაცი: მაშინ, გამარჯობა, ძუკნა!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## მსოფლიოში ყველაზე საშიში ვულკანი აფრიკაში მდებარეობს



ვულკანი, სახელწოდებით ნირაგონგო, მსოფლიოში ყველაზე საშიშად მიიჩნევა და მას მინიმუმ მილიონიანი ქალაქის გადაბუგვა-განადგურება შეუძლია. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ცეცხლის ალით მსუნთქავი ეს მონსტრი, რომელიც აფრიკის დასავლეთით, კერძოდ კი კონგოს რესპუბლიკაში მდებარეობას, მსოფლიოს უდიდეს საფრთხეს უქადის და როდის მოხდება ტრაგედია, მხოლოდ დროის ამბავია.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ვულკანის ლავით სავსე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტბა დღემდე ძალიან ცუდად არის შესწავლილი სპეციალისტების მიერ, რისი მიზეზიც სამოქალაქო ომია, რომელიც ამ რეგიონში ვერაფრით დასრულდა.

ვულკანის სიახლოვეს ქალაქი გომა მდებარეობს, რომელშიც მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. მეცნიერების თქმით, მაშველები ყოველ წამს უნდა ელოდნენ, რომ მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყონ, რადგან ნირაგონგოს ლავას ძალიან ადვილად შეუძლია, კაცობრიობას თავს მეორე პომპეი დაატეხოს.

*tainamira.ru*

## ყავა ფასტ-ფუდის ნეგატიურ ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებსო



ძალიან ბევრი დაწერილა და ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება, რომ ფასტ-ფუდი ადამიანის ჯანმრთელობას ანადგურებს და ბოლოს უღებს. სიახლე კი ამ მიმართულებით ის გახლავთ, რომ როგორც კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, სწრაფი კვების ობიექტების ნაწარმისთვის ყავის დაყოლება ნეგატიურ ეფექტს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და აღრმავებს.

გელფის უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, ფასტ-ფუდის მიღების შემდეგ, ადამიანის სისხლში შაქრის დონე მკვეთრად მატულობს, ხოლო როცა მას ყავასაც აყოლებენ, შაქარი რამდენჯერმე, დაახლოებით ისე მატულობს, როგორც ეს დიაბეტის მქონე პაციენტებში ხდება ხოლმე.

ჩვეულებრივ, როცა ადამიანი შაქარს იღებს, ინსულინი გამომუშავდება, რომელიც მას სისხლიდან დევნის და კუნთებში გადააქვს. კანადელების კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ სწრაფი კვების ობიექტების ცხიმებით სავსე საკვების მიღება ორგანიზმის ამ უნარს ანადგურებს, ანუ შაქრის გადამუშავება ისეთი წარმატებით ველარ ხერხდება.

მოკლედ, თუკი ფასტ-ფუდს თავს ვერ ანებებთ, ან უბრალოდ, სხვა ალტერნატივა არ გაგაჩნიათ, იქნებ, როგორმე ყავის დალევისგან მაინც შეიკავოთ თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეთ.

*science.computlenta.ru*

## კბილის ძაფი... უნაყოფობის წინააღმდეგ



საიდან სადაო და იქიდანო, რომ, როგორც შვედი მეცნიერები ამტკიცებენ, კბილის ძაფის რეგულარულ გამოყენებას დაფეხმძიმების ალბათობის გაზრდა შეუძლიაო. სხვათა შორის, მათ მოსაზრებას ემხრობიან ავსტრალიელი სპეციალისტებიც.

მოსაზრების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პირის ღრუს მოუვლელობა ძალიან ხშირად ხდება უნაყოფობის მიზეზი. ამდენად, თუკი ადამიანს ბავშვის ყოლის სურვილი აქვს, ურჩევნია, კბილების მოვლას დიდი ყურადღება დაუთმოს.

არსებული მონაცემების თანახმად, გარკვეული ჰორმონალური პრობლემების მქონე ქალს დაახლოებით 5-თვიანი მკურნალობა სჭირდება იმისთვის, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს და დაფეხმძიმდეს. ხოლო თუკი ქალს ღრძილების პრობლემებიც აწუხებს, მკურნალობის პროცესი, საშუალოდ, 2 თვით მაინც ხანგრძლივდება.

მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ უსიამოვნების მიზეზი ანთებითი პროცესია, რომელიც ღრძილების დაავადებებს უკავშირდება.

პირველ რიგში, საუბარია პერიოდონტიტზე, რომელიც, როგორც ცნობილია, სხვა პრობლემების გამომწვევი მიზეზიც ხდება. მაგალითად, გულის დაავადებების, მამაკაცებში სპერმის ხარისხის დაქვეითების, მუცლის მოშლის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**17 დეკემბერი:** შეგიძლიათ, ვიღაცას პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროთ. უნდა გამოგივიდეთ, ასეთი საქმეები უკვე გაკეთებული გაქვთ.

**კურო 22.04-21.05**

**17 დეკემბერი:** დომინოს ეფექტი თქვენზე იმუშავებს. მინიმალური ძალისხმევა და სწორ კვალზე დადგომა გინდათ, დანარჩენი თავისით გამოვა.

**ტყუპები 22.05-21.06**

**17 დეკემბერი:** შეიძლება საკუთარი თავი თქვენივე გეგმების მონად ჩათვალოთ, რადგან მათ აუცილებლობიდან გამომდინარე ადგენთ და არა სურვილებიდან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**17 დეკემბერი:** შეიძლება ვიღაც სულელურად გაგეხუმროთ. ამის გამო ნუ გაცოფდებით, თქვენგან სწორედ ამას ელიან. ვითომ არაფერი არ შეგიმჩნევიათ.

**ლომი 23.07-22.08**

**17 დეკემბერი:** ყველაფერი ზედმეტი და უსარგებლო მოიცილეთ. გულგატეხილობა, გაცრუებული გრძნობები თავიდან ამოიგდეთ და ახალი სუნთქვა გაგეხსნებათ.

**ქალწული 23.08-22.09**

**17 დეკემბერი:** სიტყვაუხვი და მჭევრმეტყველი იქნებით. თუ ვინმესთან საუბარს ვერ მოახერხებთ, თქვენი აზრები ფურცელზე გადაიტანეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**17 დეკემბერი:** ყველაფერი შეიძლება თქვენი მოლოდინებისა და სურვილების საწინააღმდეგოდ მოხდეს. ხელებს ნუ ჩამოუშვებთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ასე უკეთესიცაა.

**მორიელი 23.10-21.11**

**17 დეკემბერი:** პრობლემის საფუძველი ეძებეთ. დღეს, შესაძლოა, ბოლო დღეა, როცა მისი მოგვარება შეგიძლიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თქვენთან სამუდამოდ დარჩება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**17 დეკემბერი:** შესაძლოა, უსიამოვნო დღე აღმოჩნდეს. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ თქვენი ერთ-ერთი ახლობელი არ იმსახურებს იმ ნდობას, რაც მას გაუწიეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**17 დეკემბერი:** შეიძლება მთელი დღე რაღაცის დევნაში გაატაროთ და მაინც ვერ მოიხელთოთ. სანამ დევნას დაიწყებთ, დაფიქრდით, გჭირდებათ ეს?

**მერწყული 20.01-18.02**

**17 დეკემბერი:** არავითარ შემთხვევაში არ გარისკოთ, სანამ არ დარწმუნდებით, რომ საფრთხე არ გემუქრებათ. ზედმეტი თავის ტკივილი არ გჭირდებათ.

**თევზები 19.02-20.03**

**17 დეკემბერი:** თქვენი შრომის შედეგის წარმოჩენის კარგი საშუალება მოგეცემათ. გაითვალისწინეთ, თუ ამას თქვენ არ იზამთ, სხვები გააკეთებენ, არცთუ სასიამოვნო ფორმით.


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**


## მაინც, როგორი წყალია სასარგებლო?



მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფმა გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც აბათილებს მოსაზრებას, თითქოს გადადუღებული წყალი საშიშ ბაქტერიებს ანადგურებს და მისი დალევა ყოვლად უსაფრთხოა. სამწუხაროდ, ეს ასე სულაც არ ყოფილა. კვლევებმა აჩვენა, რომ არაერთი ბაქტერია თერმო გადამუშავების შემდეგაც არ კვდება. გარდა ამისა, გადადუღება ვერ ერევა საშიშ ორგანულ ნივთიერებებსა და მძიმე ლითონების მარილებს.

პანაცეა არ არის წყალი არც ბუნებრივი წყაროებიდან. უმრავლეს შემთხვევაში, წყაროს წყალი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და შესაბამისად, მისი ყოველდღიური გამოყენება არცთუ გონივრული გადაწყვეტილებაა.

აბა, რაღა უნდა ვქნათ, რომელ წყალში გადავვარდეთ? უფრო სწორედ – როგორი წყალი ვსვათ?

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წყლის წმენდის საუკეთესო საშუალება ოსმოსის ნაწილობრივ გამტარი ფილტრებია, რომლებშიც ატარებს სითხის მოლეკულებს და არ ატარებს მასში გახსნილი ნივთიერების მოლეკულებს.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ანეკდოტი



კოტეს უფროსი ქალიშვილი გამოუტყდა:

– მამიკო, ისე მოხდა, რომ ქალები უფრო მაინტერესებს, ვიდრე კაცები...

უფროსის აღიარებით შეგულიანებული ახლა შუათანა ქალიშვილი გამოვიდა სიტყვით:

– გაგიკვირდება, მამა, მაგრამ მეც ქალები მირჩევნია...

მამა არც უმცროსმა ქალიშვილმა დაინდო:

– კი მიმძიმს ამის თქმა, მამიკო, მაგრამ მეც ქალები უფრო მომწონს.

თავზარდაცემული მამა აყვირდა:

– არის ამ ოჯახში ისეთი ადამიანი, ვისაც კაცები უყვარს?

– კი, მამა! – გამოსძახა სამზარეულოდან ვაჟმა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია

211359457

კვირის ქრონიკა

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.55